

ახალი თაობა



1 მაისიდან!
„ახალი თაობა“
+ ილქი II
 ოქროს ხანა სამტომეულის
 პირველი **8 ლარი** ტომი



ოთხშაბათი, 1 მაისი, 2013

№102 (6103)

ფასი: 30 თეთრი

ნაციონალური საპრეზიდენტო კანდიდატს ვერ არჩევენ!

**ბარამიძემ
საკუთარი
კანდიდატურა
წამოაყენა**

„ქონსუტაციები გავიცი
მაქვს გუნდი, მაგჩამ
საბოლოო
გადწყვეტილება
მიღებული ახ ახის.
პრეზიდენტი კანდიდატის
გამოვლენის უფლება გვაა.
ეს უნდა იყოს პრეზიდენტი.
პრეზიდენტის ტიტული
ინტენსივით მოხდება,
მონველი იქნება ყველა
ტელევიზორი“.



აპ.3



„თუ სამინისტრო
მოახერხებს და
ლაშქარს გასცემს
პასუხს ჩვენს
შეკითხვებს, მეც
ბედნიერი ვიქნები და
საზოგადოებრივ გაიგებს,
რატომ გვჭირდება
საუბარი, თუ არადა,
გამომწვევდება. ნუ
დაგანქარებთ
პროცესებს. ალბათ, მე
შემეშალა, როდესაც
წინასწარ გამოვიტანე
ეს ინფორმაცია და
ახლა ვდარდობ ამას“.

**ბიძინა ივანიშვილმა მინისტრის
მოსხმა გადაიფიქრა**

აპ.2

**შსს-ს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით
ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს**

აპ.6



**ვალერი გელბახიანი:
„სასამართლოს
დამოუკიდებლობა
გულისხმობს
კითხვის ნიშნის
ქვეშ იქნება“**

აპ.2



**ზრა ნანუაშვილი: „ჩვენები
ქართულ პასპორტებს უფრო
ქვეყნებში საქართველოს
საელჩოების საშუალებით
იღებდნენ“**

აპ.4

სახალხო დამცველის მოსასმენად
შვიდმა დეპუტატმა მოიცალა


**ირაკლი
ალასანიძე:
„მიგულებით
თქვენ
გვერდით
რიგით
ჯარისკაცად“**

აპ.4



ქაიხუა ახმედი 22 წელი შეუსრულდა

29 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+ ქართული ფანოვანი
 ტომი 1 **8 ლარი**
თეკლა ბატონიშვილი



თეკლა
ბატონიშვილი

ქართული წიგნები



2 ირაკლის უკანონო
შეძენა-შენახვის
ბრალდებით
ერთი პირი
დააკავეს

6 გიორგი კადაგიძე:
„სწრაფი გადაწყვეტილების
აპარატურით
სარგებლობის
გაპირიზაცია
დაკავშირებით კითხვის
ნიშნები არსებობს“

6 ჩხემა
სამართალდამცველებმა
ნოტიო სიჩქარით
ქაბილი
საქართველოს
მოქალაქე დააკავეს

2 მინილ სააკაშვილი:
„სამშენებრო, რომ
მთავრობამ,
პოლიტიკური
მოტივებით, აღდგინა
ჩაბრახან ხელი
შუშაუა“



პალარი გელბახიანი: „სასამართლოს დამოუკიდებლობა მუდმივად კითხვის ნიშნის ქვეშ იქნება“



თამარ ნინიძე

პოლიტიკური ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს“ თავმჯდომარე და ადვოკატთა ასოციაციის წევრი ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ საზოგადოება ელოდება ცვლილებებს საერთო სასამართლოების შესახებ კანონში, თუმცა ეს ცვლილებები შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო პირველ რიგში საზოგადოების მოთხოვნებთან.

„პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ვალერი გელბახიანი განაცხადა, რომ იუსტიციის საბჭოს უფლებამოსილებები უნდა გადაისინჯოს, იუსტიციის საბჭოს უფლებამოსილებაში შედის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეფასება ისე, რომ იმის განმკითხავი არავინ არის, სწორი იყო თუ არა ეს შეფასება. სადისციპლინო კომისია არ სარგებლობს იმ პრინციპით, რომ სხვა უწყებამ გადასინჯოს მისი გადაწყვეტილება. მოსამართლის მუშაობა ან მისი დათხოვნა სამსახურიდან დამოკიდებულია იმაზე, როგორ შეაფასებს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას იუსტიციის საბჭო. აქ მთავრდება მოსამართლის ყოველგვარი დამოუკიდებლობა.

„ვიდრე არ შეიცვლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, რომ არ მიეცეს მას მოსამართლის გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეფასების შესაძლებლობა, მუდმივად იქნება სასამართლოს დამოუკიდებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ“, – აცხადებს გელბახიანი. თავად გელბახიანიც მსხვერპლია ამ პროცესისა, როცა ერთ-ერთმა მოსამართლემ ისე გამოიტანა უკანონო გადაწყვეტილება, მასალები არც კი წაუკითხავს. გელბახიანი ამ ცნობილი მოსამართლის გვარს ახლა არ ასახელებს. იმის მიუხედავად, რომ შეიძლება გელბახიანი დღეს იმ მოსამართლეზე განაწყენებულია, არ ნიშნავს მისი გადაწყვეტილების გადაფასების მოთხოვნის დაყენებას და მისი პირადი პასუხისმგებლობის დაკისრებას. მართლმსაჯულება რომ ხორციელდებოდეს, მას უნდა მოეხსნას პოლიტიკური კონტროლის ქუდი, ამ შემთხვევაში როგორც გელბახიანი მიიჩნევს, არც ერთი მოსამართლე არ წავა საკუთარი პროფესიისა და სინდისის წინააღმდეგ, ყოველთვის შეეცდება გამოიტანოს ობიექტური განაჩენი.



იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის შეცვლით არსებითად არაფერი შეიცვლება თუკი არ ჩამოერთვა იუსტიციის საბჭოს მოსამართლეების შეფასების უფლება. ერთი პოლიტიკური ძალა ჩაანაცვლებს მეორეს, სასამართლოს კონტროლი კი გაგრძელდება.

ამჟამად გელბახიანი ელოდება, როგორ დასრულდება დავა პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის, რაც გამოწვეულია სააკაშვილის მიერ ვეტოს დადებით, თუ ვეტო იქნება დაძლეული, მაშინ სხვა ღონისძიებები იქნება მოსაფიქრებელი, მათ შორის, სამართლებრივი პროცესები.

„მე აუცილებლად გაცხადებ ერთ-ერთი ავტორი იმ კონსტიტუციური სარჩელისა, რომელიც საპროცესო კანონმდებლობასთან დაკავშირებით შევა საკონსტიტუციო სასამართლოში. სასამართლოებში არ არის შევიზრებითობის პრინციპი, მხოლოდ პროკურატურას აქვს უპირატესი უფლებები და სხვა მხარეს არ გააჩნია ბალანსის საშუალება, ამ შემთხვევაში სასამართლო ყოველთვის დამოკიდებული ხდება უპირატეს მხარეზე“, – აცხადებს ვალერი გელბახიანი.

საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდება მხოლოდ ის ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ იუსტიციის საბჭოს უფლება აქვს გადასინჯოს და შეაფასოს მოსამართლის გადაწყვეტილებები. ვეტოს დაძლევა-არდაძლევა, ამ საკითხის გადატანას საკონსტიტუციო სასამართლოში, ხელს არ უშლის.

ახალი ხელისუფლება თვლის, რომ პარლამენტიდან არ უნდა იყოს წარმოდგენილი არც ერთი პარტია იუს-

ტიციის საბჭოში და ამით საბჭო უფრო დამოუკიდებელი იქნება, მით უმეტეს, ეს მოდელი მოიწონეს მოსამართლეებმაც, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

გელბახიანის განმარტებით, თავიდან, როცა შეიქმნა იუსტიციის საბჭო, პრეზიდენტის სახელისუფლებო შტოში შევიდა, რაკი სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი შტოა, შეიქმნა უზერხელობა და ის გამოეყო საპრეზიდენტო შტოს. ვენეციის კომისიის

რეკომენდაცია იყო, რომ სამივე შტოს მიეღო მონაწილეობა იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტებაში, ეს იქნებოდა ყველაზე დემოკრატიული და დაბალანსებული უწყება. სააკაშვილის ხელი-სუფლება სამივე შტოში იყო წარმოდგენილი თავისი ნაცემოდრობით, ამიტომ ერთპარტიულობა იქნა მიღებული იუსტიციის საბჭოშიც, ეს იყო ნეგატიური პროცესი. მოსამართლის ვადიანობა იმითმდევს კონსტიტუციაში, რომ ხელისუფლების ცვლილებას არ უნდა მოჰყვებოდეს მოსამართლეების ცვლილება.

პოლიტიკური დაჭერების პროცესთან მიმართებაში ეჭვებს ადასტურებს გელბახიანი იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით. ის აცხადებს, რომ პროკურატურა არ მალავს თავის უკმაყოფილებას იმის გამო, რომ არ ხდება პოლიტიკური ფიგურების დაკავება. სისხლის სამართლის კოდექსში აღნიშნულია, რომ პატიმრობა არის გამოწვეული, როცა ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში უაპელაციოდ არ ხდება პირის დაპატიმრება. დაკავებისთვის უნდა იყოს რეალური საფუძველი, მაგალითად, მისი მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენა, უცხოეთში გადასაღება და მტკიცებულებების განადგურება. ამიტომ, როცა პროკურატურა ითხოვს დაპატიმრებას, გელბახიანი ეჭვობს, რომ ამას აქვს პოლიტიკური ნიშანი.

გელბახიანის აზრით, ახლა სასამართლო სრულიად თავისუფალია, რადგან თავად მონაწილეობს ამ პროცესში. მოსამართლეები ცდილობენ დამტკიცონ საზოგადოებას, რომ ემსახურებიან სიმართლეს.

იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ერთი პირი დააპავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1977 წელს დაბადებული, წარსულში ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის ნასამართლევი დავით შ. დააკავეს.

როგორც „ნიუსპრესს“ შს-ს პრესსამსახურიდან აცნობეს, სამართალდამცველებმა დაკავებულმა საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „ტომფსონ“-ს სისტემის 1 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, „კალაშნიკოვი“-ს სისტემის 2 ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 5 მჭიდი და 653 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე (სსკ-ს 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით) მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

დაეპირ გიორგალაძე: „ქლანური სისტემა თუ არ დაინერგა, უკონომიკა ვერ განვითარდება“



თამარ ნინიძე

ფინანსთა მინისტრთან არსებული მრჩეველთა საბჭოს წევრი დემურ გიორგალაძე აღნიშნავს, რომ საზოგადოებამ და ექსპერტებმა კრიტიკული პოზიცია უნდა დაიკავონ ახალი მთავრობის მიმართ. ამის შესახებ თქვა გიორგალაძემ გუშინ პრაიმ-ტაიმის პრესკლუბში.

„ძალიან კარგია, რომ შეიდი თვის შემდეგ ბატონი პრემიერი საუბრობს კადრების ცვლილებაზე და ვფიქრობ, რომ კადრების როტაცია არის ნორმალური და აუცილებელი პროცესი, რადგან ქვეყანა მძიმე მდგომარეობაშია, სოციალურ-ეკონომიკური ფონი მძიმეა, ამიტომ პარამეტრები განსაზღვრული უნდა იყოს ყველა მიმართულებით“, – მიანიშნა დემურ გიორგალაძეს.

ჯერჯერობით მთავრობის ფუნდამენტური შეფასების ანალიზი არ დგას, ეს პროცესი შემოდგომაზე მოხდება, დროში ციტირებს პრემიერი კარგად გრძნობს, გიორგალაძემ კონკრეტულად არ ასახელებს იმ მინისტრს, რომელსაც პირველად შეცვლიან მთავრობაში, თუმცა მიანიშნა, რომ რამდენიმე მინისტრი ახლავა შესაცვლელი. ასახელებს სოფლის მეურნეობის მინისტრს, დიასპორის მინისტრს, უდიდესი დიასპორაა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მათ შეუძლიათ არა მარტო დაბრუნება ქვეყანაში, არამედ დიდი თანხების შემოტანა. მისი თქმით, თუ არ დაიწერება კლანური სისტემა, ვერ განვითარება ეკონომიკა. თუ კლანებს არ ჩაანაცვლებს ინსტიტუტებით, მაშინ მოქმედებს ერთსა და იმავე სისტემაში. სუსტ მუშაობად აფასებს გიორგალაძე საკანონმდებლო მუშაობას, არ შედის



მნიშვნელოვანი ცვლილებები ეკონომიკურ კანონებში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია უნდა შემუშავდეს. ეს დავლება ფინანსთა სამინისტრომ პრემიერისგან მიიღო.

„საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სიღარიბეშია, ასეთ ვითარებაში ამ ადამიანებს არ შეუძლიათ შეიძინონ მიწა და იძულებული არიან გაყიდონ მიწა, არ უნდა იქნეს დაშვებული კატასტროფული ცვლილება საკუთრებაში ასეთ მცირეწილიან ქვეყანაში. პარლამენტმა არ გააჩერა ეს კანონი. ეს კი მის სისუსტეზე მეტყველებს. ანტიმონოპოლიურ კანონზე ჯერ კიდევ გაურკვეველი ვითარებაა, ესეც პარლამენტის ცუდ მუშაობაზე მიუთითებს“, – აღნიშნავს დემურ გიორგალაძე.

გიორგალაძის თქმით, იმისთვის, რომ სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესდეს, ადამიანმა მუშაობა უნდა დაიწყოს, სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით ჯერ რაიმე ნაბიჯები გადადგმული არ არის, მთავრობას უყურადღებოდ აქვს დატოვებული მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელიც ყველა ქვეყანაში უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებს.

ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერთან ერთად, ვახიანის პოლიგონზე გაემართა დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან, თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, ვახიანის სამხედრო პოლიგონზე საჩვენებელ საველე ტაქტიკურ სწავლებას – „ისარი 2013“ დაესწრო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, საჩვენებელი სწავლება საქართველოს შეიარაღებული ძალების დაარსების 22 წლის-თავთან დაკავშირებით გაიმართა.

ნიუსპრესი

მიხეილ სააკაშვილი: „სამხუხაროა, რომ მთავრობამ, პოლიტიკური მოტივებით, ალუმის ჩაბარებას ხელი შეუშალა“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სოციალური ქსელების მეშვეობით, ქართულ არმიას, დაარსებიდან 22 წლისთავს ულოცავს.

„მინდა ჩვენს ჯარისკაცებს საქართველოს შეიარაღებული ძალების, ქართული არმიის 22 წლისთავი მივულოცო და მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ ამ ხნის განმავლობაში, სამშობლოს თავდაუზოგავად ემსახურებოდნენ. თქვენ ყოველთვის ერთგულად იდევით საქართველოს თავისუფლების, ერთიანობისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე.“

2008 წელს საქართველო თქვენმა გმირობამ გადაარჩინა. ქართული ჯარი, რომელმაც 5 დღის განმავლობაში შეაჩერა 100-ჯერ მრავალრიცხოვანი მტერი, იყო ჩვენი დროის 300 არაგველი. სწორედ ქართულმა ჯარმა მოგვცა დიპლომატიური აქტიურობის და მიღებული მსოფლიოს გამოღვიძების დრო.

სამსუხაროა, რომ წელს მთავრობამ პოლიტიკური მოტივებით, ხელი შეუშალა ალუმის ჩატარებას, არადა ალუმი შესაძლებლობაა, ხალხმა წელიწადში ერთხელ მაინც გადაუხადოს მადლობა საკუთარ არმიას. 26 მაისს ალუმის სხვა ღონისძიებებით ჩანაცვლება მიუღებელია, რადგან სწორედ შეიარაღებული ძალები არის ჩვენი დამოუკიდებლობის უმაღლესი გამომავალე.

კიდევ ერთხელ გამოვხატავ უდიდეს მადლიერებას, რადგან შეუფასებელია ის წვლილი, რომელიც საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში მიუძღვის“ – განაცხადა სააკაშვილმა.

ნიუსპრესი



შორენა მარსაგიშვილი

მთელი საქართველო გულის ფრიალით ელოდა იმის გარკვევას, ვინ იქნებოდა ის მინისტრი, რომლის მოხსენასაც ბიძინა ივანიშვილი აპირებდა. ცოტა ხნის წინ მან თქვა, რომ ერთ-ერთ მინისტრთან კითხვები არსებობდა. ამის შემდეგ მთელმა ერმა მარჩიელობა დაიწყო, ვინ იყო ის უიღბლო. მკითხაობით დიდად რომ არ გაცნვალბულიყავით, მეოცნებებმა პატარა „ნაკოლი“ მოგცეს. გვითხრეს, ის ერთი არც ძალოვანი იქნება და არც ეკონომიკური გრდნიდანო. მერე გამოვიდა ხმა, ის ერთი სოფლის მეურნეობის მინისტრი დათო კირვალშიყო.

გუშინ დილიდან გავარდა ხმა, 29 აპრილს სალამოს ბიძინა ივანიშვილს დათო უსუფაშვილი და ვახტანგ ხმაღაძე დაელაპარაკნენო. ამბობდნენ, რომ სწორედ მათ გადაათქმევინეს იმ ერთი მინისტრის მოხსენა.

გუშინ პრემიერი იმ ერთ მინისტრზე უკვე სხვანაირად საუბრობდა. ის შეცდომად თვლის თავის გადაწყვეტილებას იმის თობაზე, რომ ერთ-ერთი მინისტრთან კითხვების არსებობის შესახებ ინფორმაცია წინასწარი გახმაურა.

– მე გითხარით, რომ რამდენადაც ჩვენი ხელისუფლება გახსნილია, იმასაც არ ვმალავთ, რომ შეკითხვები გვაქვს ერთ-ერთ სამინისტროსთან, ერთ-ერთი მინისტრთან. ეს მხოლოდ იმისთვის მოგახსენეთ, რომ მეჩვენებინა გულწრფელობა. თუ სამინისტრო მოახერხებს და ლამაზად გასცემს პასუხს ჩვენს შეკითხვებს, მეც ბედნიერი ვიქნები და საზოგადოებაც გაიგებს, რაზე გვქონდა საუბარი, თუ არა და გამომზეფრდება. ნუ დაეაქჩარებთ პროცესებს. ალბათ მე შემეშალა, როდესაც წინასწარ გამოვიტანე ეს ინფორმაცია და ახლა ვდარდობ ამაზე, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.



დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოლო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – ჯორა ბალავაძე

დაკავალბონება – ინგა დვალისვილი, ნონა კისდელაკი, შინა ქიქაშვილი

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გაფრცვლების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგულირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიებში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ახალი
თარიღი

გაზეთი

გამოდის

1993 წლის

23 ივლისიდან



ნაციონალური საპრეზიდენტო კანდიდატს პირ პირში!

ბარამიძემ საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა



ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობიდან“ პრაიმერში მონაწილე ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი უკვე ცნობილია. არც მეტი და არც ნაკლები, ეს გიორგი ბარამიძეა. რატომ გაუჩნდა სურვილი ბარამიძეს, რომ ვანო მერაბიშვილისა და დავით ბაქრაძის კონკურენტი გახდეს? არაოფიციალურად სწორედ მათი გვარები სახელდება. როგორც ჩვენთან საუბარში დავით დარჩიაშვილმა განაცხადა, სავარაუდოდ, სამ კანდიდატს შორის გაიმართება პრაიმერი.



პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, გიორგი ბარამიძემ სრულიად მოულოდნელად განაცხადა, რომ ის საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის პრაიმერში მონაწილეობას მიიღებს.

როგორც მოგვიანებით ბარამიძემ ჩვენთან საუბარში განმარტა, ის ისევე, როგორც პარტიის სხვა წევრები, ფიქრობს პრაიმერში მონაწილეობაზე და ეს პროცესი მათთვისაც საინტერესო იქნება.

კითხვაზე, გუნდში კონსულტაციები გაიარა თუ არა, ასე პასუხობს:

– კონსულტაციები გავლილი მაქვს გუნდში, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ალბათ ბევრი ფიქრება. მე ჩემს კოლეგებს ნატოს საპარლამენტო ასამბლეიდან მოვასხენე თუ როგორ ჩავატაროთ საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევის პროცესი. ისიც ვუთხარი, რომ მეც ვფიქრობ ამის თაობაზე. პრაიმერი კარგი გზაა კანდიდატის გამოვლენის, ეს ჯანსაღი პროცესია. პრაიმერის ტრანსლირება ინტერნეტით მოხდება, მოწვეული იქნება ყველა ტელეარხი. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის. ეს იქნება კიდევ ერთი რეჟოლუციური ნაბიჯი, სადაც მთელი საზოგადოება მიიღებს მონაწილეობას. არიან ადამიანები, რომლებიც მხარს უჭერენ ამ იდეას, – აცხადებს გიორგი ბარამიძე.

ბარამიძე მიიჩნევს, რომ პრაიმერი წარმოაჩენს „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც მზარდ პარტიას, რომელიც ვითარდება და უნარი აქვს, უკან მოიხდოს, ისაუბროს თავის შეცდომებზეც, მიდევნებზეც და უკეთესი პერსპექტივაც დასახოს.

– ამ პროცესს მნიშვნელობა ექნება ჩვენი პარტიისთვის, პარტიის განახლებისთვის, რაც გაცხადებული ამოცანაა არჩევნებში დამარცხების შემდეგ. პარტიის განახლებისა და რეორგანიზაციის შესახებ პარტიის ხელმძღვანელებმა უკვე თქვეს. პასუხისმგებლობა უნდა გავაწიოთ, – აცხადებს გიორგი ბარამიძე.

ვინ მიიღებს პრაიმერში მონაწილეობას, გუშინ გიორგი ბარამიძეს არ დაუსახელებია.

ბარამიძის პრაიმერში მონაწილეობაზე დავით დარჩიაშვილი აცხადებს, რომ რაც მეტი კანდიდატი, მით უკეთესი.

დავით დარჩიაშვილი, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი:

– რაც მეტი გამოკვეთილი ლიდერი ჩაერთვება ამ პროცესში და დადგინდება რეიტინგები, მით უკეთესი. მით უკეთესი პარტიისთვის, რომელიც იდეოლოგიის ირგვლივ უნდა ერთიანდებოდეს და არა პირველების ირგვლივ. ჩვენ პარტიას, თუ ვინმეს აქვს, ნამდვილად აქვს პოტენციალი, რომ იდეოლოგიის ირგვლივ იყოს დარაზმული ძალა.

– გუნდში იყო საუბარი პრაიმერში მონაწილე კანდიდატების შესახებ?

– გუნდში იყო საუბარი და პრეზიდენტის სურვილიც არის, რომ მაქსიმალურად ბევრმა, ვისაც ამისი ამბიცია აქვს, გამოთქვას თავისი პრეტენზია და პრაიმერი ჩატარდეს.

– დაახლოებით რამდენ ლიდერს აქვს სურვილი?

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. ვფიქრობ,

სამს მაინც.

– საუბარია ბაქრაძეზე, მერაბიშვილზე და გიორგი ბარამიძემ განცხადება უკვე გააკეთა...

– ჩემი სურვილი რომ იყოს, რა თქმა უნდა, ერთმანეთს უნდა შევეჯიბრონ ბაქრაძე, ვანო მერაბიშვილი, გიას აქეს ეს სურვილი. შეიძლება ასეთი ამბიცია ახალგაზრდებიდან იყოს.

– გუნდში ჩამოყალიბებული პოზიცია არ არის?

– არა, ასე გვარები ჩამოყალიბებული არ არის. თავისუფლება, ადამიანთა თავად უნდა გამოხატოს სურვილი. ეს რთული პროცესი იქნება, რადგან გამოცდილება თითქმის არ არსებობს. ოქტომბერში ჩვენთვის რთული არჩევნები იქნება. ახალ ხელისუფლებას გარკვეული პერიოდი, რაც არ უნდა აკეთოს, რეიტინგი უნარჩუნდება, შესაბამისად, რთულ ბრძოლაში ჩაბმა რთული პროცედურების გავლით ხდება.

– მით უფრო რთულ ბრძოლაში „ნონიან“ კანდიდატად ვინ წარმოგიდგენია?

– მე ვფიქრობ, ჩვენი პარტია, ჯგუფი, რომელიც ჩანს, დებატებში მონაწილეობს, ისეთი ადამიანებით არის დაკომპლექტებული, ვისაც აქვს საფუძველი, რომ ამის ამბიცია ჰქონდეთ. ვინ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ პრაიმერში მიიღოს მონაწილეობა, ეს ინდივიდუალურ პოზიციაზეა დამოკიდებული.

ვინ იქნება „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი, ამ კითხვით დავით საგანელიძეს, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, მივმართეთ:

– მე პირადად პრაიმერი ჩავატარე, როდესაც ვაკის რაიონში მაჟორიტარ კანდიდატად ვიყრიდი კენჭს. კოალიციაშიც იყო საუბარი პრაიმერზე, მაგრამ თუ ერთობლივად იქნა გადაწყვეტილება მიღებული, მაშინ პრაიმერის ჩატარებას აზრი არ ექნება. ხოლო თუ აზრია სხვადასხვაობა იქნა და კონსენსუსს ვერ მივაღწიეთ, არ არის გამორიცხული, რომ გადაწყვეტილების მიღების გარკვეული ფორმა ჩვენც შევარჩიოთ.

– პრემიერმა განაცხადა, რომ ორ კვირაში გვეცოდინება, ვინ იქნება კოალიციის კანდიდატი...

– კონსტიტუციით, რომელიც შემოდაგომაზე ძალაში შევა, პრეზიდენტის ფუნქციები მნიშვნელოვნად განსვადგება არსებულიდან. ამდენად, ამოსავალი ბევრად უფრო სხვა უნდა იყოს. ახალი კონსტიტუციით როგორი ტიპაჟი უნდა იყოს პრეზიდენტი? ალბათ უფრო დამბალანსებელი, მაღალი ნდობის მქონე პირი. ისეთ ადამიანზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი, რომელიც საზოგადოებისთვის ყველაზე უფრო მეტად იქნება მისაღები. მის პარტობებაში, ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში ყველაზე ნაკლები კითხვა უნდა იყოს. იდეალური ადამიანი არ არსებობს, ყველას მიმართ გარდნა კითხვები და პრობლემები, მაგრამ მაქსიმალურად უნდა აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებს. ამდენად, აუცილებელი არ არის, რომ მაინცდამაინც რომელიმე პარტიის ლიდერი ან ძლიერი მენეჯერი იყოს.

– საზოგადოებიდან უნდა იყოს?

– შესაძლებელია, ის იყოს საზოგადოებისთვის ნაცნობი სახე. შეიძლება პოლიტიკოსიც იყოს, მაგრამ აუცილებელი არ არის. საუბარი იყო სალომე ზურაბიშვილზე, კახი კალაძეზე, გიორგი მარგველაშვილზე, ვახტანგ ხმალაძეზე იყო საუბარი, ეს ადამიანები პოლიტიკური ლიდერები არ არიან, მაგრამ საზოგადოებისთვის ცნობილი არიან თავიანთი პრინციპულობით, ავტორიტეტით. ასეთ ფიგურებზეა საუბარი.

– პაატა ბურჭულაძე იყო საუბარი...

– ყველას მიმართ ვარ სიმპატიით განწყობილი, მაგრამ კონკრეტულად არ ვიტყვი ამის შესახებ. ვის ჩავთვლი, რომ უკეთესი კანდიდატი იქნება, ამაზე მე დავფიქსირებ ჩემს პოზიციას. დასახელებული კანდიდატები ღირსნი არიან, რომ განხილვები იყვნენ. დარწმუნებული ვარ, რომ განსხვავებული აზრის მიუხედავად, კონსენსუსამდე მივალთ.

– ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ კოალიციაში ორმა-სამმა ადამიანმა უკვე იცისო, თქვენ იცით?

– არა. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება კარგი მსჯელობის, სერიოზული არგუმენტების განხილვის შედეგი.

– საპრეზიდენტო კანდიდატი კონსენსუსის თუ ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგად დასახელდება კოალიციაში?

– შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბატონმა ბიძინამ ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება, შეიძლება სხვადასხვა მოსაზრებები იყოს, მაგრამ საბოლოოდ კონსენსუსით მიიღება გადაწყვეტილება.



ნათია ხურცილავა

ყოფილი ხელისუფლება მოქმედ მივარობას ურჩევს გაითავისოს, რომ ხელისუფლებაშია და არა ოპოზიციაში. საპარლამენტო უმცირესობის წევრის გიორგი ბარამიძის განცხადებით, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა და მთავრობამ უნდა გაითავისონ, რომ ოპოზიციაში აღარ არიან და ქვეყნის პასუხისმგებლობით მართვა უნდა ისწავლონ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გუშინ ქვეყანაში პოლიტიკურ მდგომარეობაზე და საპარლამენტო უმცირესობის პერსპექტივებზე ისაუბრა.

– საქართველომ რთული დრო გაიარა. 1990-იან წლებში ეს იყო ომი რუსეთთან, რომელიც 2008 წელს ღია ფორმით განახლდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ არასოდეს შევჩერებულვართ ჩვენს მისწრაფებებში, აგვეშენებინა თავისუფალი ქვეყანა, რომელიც გახდებოდა ევროატლანტიკური სტრუქტურების სრულფასოვანი წევრი. ჩვენ გვვამყაყბა იმის, რისი მიღებაც შეუძლებელი, არ იქნება სწორი აქ ღია დებატებში შევიდნა ბატონ საგანელიძესთან. ეს იქნება შეურაცხყოფელი საერთაშორისო სტრუქტურების, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ნატო-ს, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო სავალუტო ფონდის და ა.შ., რომლებიც აღიარებენ საქართველოში პროგრესს, რადგან ბატონმა საგანელიძემ გააზვიადა ნგრევასთან და დანაშაულთან დაკავშირებით. საქართველო, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყანა იყო, გახდა ნომერ პირველი რეფორმატორი. მეცხრე ადგილზე ვართ იმ ქვეყნების რეიტინგში, სადაც ყველაზე ადგილია ბიზნესის კეთება, ასევე გვევამყაყბა, რომ ეს გახდა ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა ევროპაში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემი მიზანი არ არის შიდა პოლიტიკური დებატებში შევიდეთ. ეს საბაზო ადგილი არ არის. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს სერიოზული პრობლემები, იდეალური სასამართლო გვაქვს? – არა. არც ჩვენ ვართ იდეალურები, მაგრამ ჩვენ გვაქვს ქვეყანა, რომელიც სამართლიანად არის აღიარებული პროგრესირებადი დემოკრატიისკენ მიმავალ სახელმწიფოდ, რომელსაც მიეცა უნიკალური პერსპექტივები. ჩვენ აუცილებლად გავხდებით ნატო-ს წევრი, ვამაყობთ იმით, რასაც მივაღწიეთ. ახალ მთავრობასაც ვუსურვებთ წარმატებებს, თქვენ შეიძლება, ეს განცხადება მიამატებდნენ მოგეჩვენოთ, მაგრამ ამ ქვეყანაში არ გვაქვს იმის ფუფუნება, წინ საკუთარი პოლიტიკური ინტერესები დავავსოთ და მერე ქვეყნის ინტერესები, ვინაიდან ქვეყნის ტერიტორიების 20% კვლავ ოკუპირებულია. ჩვენ უნდა გავხდეთ ნატო-ს და ევროკავშირის წევრები. ნებისმიერი მარცხი, რომელიც მთავრობის ხალხს წაართმევს შესაძლებლობას, მიაღწიოს თავის მიზანს. ამიტომ მთავრობის წარმატება ყველას ინტერესებში შედის და ჩვენ ვალდებულიყავთ კი ვართ დავეხმაროთ მათ. ახალი მთავრობაც მზად უნდა იყოს გაიზაროს წინა ხელისუფლების გამოცდილება. იმის თქმა, რომ ადრე ყველაფერი ნაგავი იყო და ახლა თავიდან უნდა დავიწყოთ, არ არის სახელმწიფო მოღვაწის განცხადება. ჩვენ უნდა დავაშენოთ იმაზე, რაც აქამდე გაკეთდა. დიას, ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ პოლიცია, რომლის ნდობაც ადრე თითქმის ნული იყო, დღეს თითქმის 92%-იანი ნდობით სარგებლობს. ასევეა ჯართან მიმართებაში. სასამართლოს, რომელსაც მოსახლეობის 1% ენდობოდა, ახლა მოსახლეობის 65% ენდობა. ვამაყობთ იმით, რომ მოსახლეობის 97% ამბობს, რომ არც აუღია ქრთამი და არც გაუგია ამის შესახებ. როცა ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით, ეს ციფრები აბსოლუტურად პირიქით იყო, – განაცხადა ბარამიძე.

ის ასევე კიდევ ერთხელ გამოხმაურა პრემიერ-მინისტრის განცხადებას საქართველოში ტერორისტების შესაძლო მომზადებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ

პრემიერის მხრიდან საკუთარი ქვეყნის ასე წარმოჩენა უპასუხისმგებლობა და მოუმნიფებლობაა.

– საქართველო თავად იყო ნატო-ს სანდო პარტნიორი და ტერორიზმთან მებრძოლი. პრემიერ-მინისტრმა და ახალმა მთავრობამ უნდა ისწავლონ, რომ აღარ არიან ოპოზიციაში, ან უნდა გაითავისონ, რომ აღარ არიან ოპოზიციაში და პასუხისმგებლობის აღება და ქვეყნის მართვა ისწავლონ, – აღნიშნა ბარამიძე და დასძინა, რომ როგორც პრეზიდენტი, ისე მთელი მისი გუნდი, მზად არის, დაეხმაროს მთავრობას საკითხების სწორად გადაწყვეტაში.

მისივე თქმით, 1 ოქტომბრის

არჩევნები იყო საქართველოს მომნიშვნელოვანი დემოკრატიის მაგალითი და ვინაიდან ეს იყო ერთადერთი პირობა, ნატო-ს მხრიდან ჩიკაგოს სამიტზე დასახელებული, ყველა სტანდარტისა და პირობის საფუძველზე ახლა საქართველო უკვე იმ სახურებს გახდეს ნატო-ს წევრი.

ბარამიძემ მოუწოდა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის წევრებს, ეს მესიჯი ჩაიტანონ თავიანთ ქვეყნებში.

კონფერენციის მსვლელობისას კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით საგანელიძემ ეკლესიის ავტორიტეტზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეკლესია არ ერევა პოლიტიკურ პროცესებში, რასაც არ დაეთანხმა გიორგი ბარამიძე.

ბარამიძის განცხადებით, – „საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ კი თქვა, რომ ეკლესია პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ერევა, თუმცა ყველამ იცის, რომ ერევა და ეს მიუღებელია“.

– ჩვენ ვიცით, რომ არის ბევრი მღვდელმთავარი, რომელიც პოლიტიკაში პირდაპირ ჩაერია და თქვა, რომ ეს პოლიტიკური გუნდი მომწონს და ეს არაო. საგანელიძემ განაცხადა, რომ არ ჩაერეულა არავინო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ერევა და ეს მიუღებელია. მათ, ჩემი აზრით, დააღრმავეს სჯულის კანონი, მათი განსჯა ჩემი საქმე არ არის, ამისთვის არის სინოდი და სწორედ მან უნდა იმსჯელოს ამაზე, თუმცა არც ის არის ჩემი საქმე, იმსჯელებს თუ არა ამაზე სინოდი. მაგრამ ფაქტია, რომ იმის გამო, რომ მღვდელმთავრები არიან, ჩვენ ვერ დავებრძვდებით. ისინიც ადამიანები არიან და პასუხისმგებლები არიან საკუთარი სინდისის წინაშე, – განაცხადა ბარამიძე.

– ძალიან დიდია, ეკლესიის და უმნიშვნელო გავლენა მოსახლეობაზე, მაგრამ არ მახსოვს შემთხვევა, რომ ეკლესია პოლიტიკურ პროცესებშიც ჩაერეულიყო, არც ახლა და არც წინა. ეკლესია ცდილობს, პოლიტიკურ პროცესებში შერიგების გზა მოძებნოს. – აცხადებს საგანელიძე.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ გამართულ სემინარზე საუბარი შეეხო აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის აღდგენის საკითხს.

„კავკასიის პროექტის“ დირექტორის ლორენსის შიითის განცხადებით, 2-3 წლის განმავლობაში აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა აზრთა ბევრ სხვადასხვაობას გამოიწვევს.

– საუბარი იყო რკინიგზის აღდგენაზე. ამას შეიძლება, ვაჭრობის აღდგენისთვის მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ პრინციპში საზღვაო ვაჭრობა ხომ არის, რომელიც ნაკლებად ძვირიც ჯდება. რკინიგზის აღდგენა კი საკმაოდ ძვირია და თან 2-3 წლის განმავლობაში მისი აღდგენა აზრთა ბევრ სხვადასხვაობას გამოიწვევს, – განაცხადა შიითსმა.

საკითხზე თავისი პოზიცია გააცნო დამსწრეებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილმა და აღნიშნა, რომ ამ თემაზე რუსეთის მხრიდან პოზიცია არ დაფიქსირებულია.

– ეს საკითხი დაისვა ქართული მხარის მიერ. სომხეთის მხრიდან მივიღეთ ნათელი პოზიცია, ექსპერ-



ტების დონეზე აზერბაიჯანის და თურქეთის მხრიდანაც დაფიქსირდა პოზიციები, თუმცა რუსეთის მხრიდან არანაირი პოზიცია არ დაფიქსირებულა და არ ვიცით ამაზე მსჯელობენ თუ არა, – განაცხადა ციხელაშვილმა.

აღნიშნულ საკითხზე თავისი პოზიცია კახა ბენდუქიძემც დააფიქსირა. მისი განცხადებით, აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის შემთხვევაში, თუ საბაჟო გამშვები პუნქტი კონტროლირებად ტერიტორიაზე გაიხსნება, ეს რუსეთის მიერ აფხაზეთის დაპყრობის აღიარების ტოლფასი იქნება.

– რამდენიმე წლის წინ, როდესაც რუსეთიდან დელეგაცია ჩამოვიდა ამ საკითხთან დაკავშირებით, მაშინ საქართველოს პოზიცია იყო ძალიან მკაფიო. ნათქვამი იყო, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ არის ერთი პირობა – ეს ჩვენი ტერიტორიაა და უნდა იქნას საბაჟო გამშვები პუნქტი გახსნილი ფსოზე – განთიადში და თუ რუსეთს სურს, განავითაროს ეს რკინიგზა, არ არის პრობლემა, უზრალოდ, აქ ჩვენი იურისდიქცია უნდა იყოს, რაზეც რუსებმა, სამწუხაროდ, უარი განაცხადეს. ამის შემდეგ ეს მნიშვნელოვანი პუნქტი, თუ ვინააო, ტროლებს ტვირთების გადაადგილებას, იყო ჩვენი ურყევი პოზიცია მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის განცხადებასთან დაკავშირებით. ამ პოზიციას არ ვცვლიდით, ძალიან თანმიმდევრული ვიყავით და ეს დამთავრდა საქართველოს ძალიან დიდი დიპლომატიური გამარჯვებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიო განცხადებით რუსეთმა აღიარა განსაკუთრებული სტატუსი ამ ტერიტორიების და ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად, ტვირთების კონტროლი უნდა განხორციელდეს არა უშუალოდ საქართველოს მიერ, მაგრამ ჩვენი ზედამხედველობა ქვეშ. ამიტომ, როცა რკინიგზის აღდგენაზე ვსაუბრობთ, ტექნიკურად ფინანსურ საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვანია პოლიტიკური საკითხიც, თუ როგორ ხორციელდება იმ ტვირთების კონტროლი, რომელიც შემოდის და ადამიანებზე, რომლებიც ამ რკინიგზით იმობრავდებიან. იმიტომ, რომ თუ ჩვენ მოვანწყვთ საბაჟო პუნქტი კონტროლირებად ტერიტორიაზე, სამეგრელოს და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე, ჩვენ ამით დე ფაქტოდ და დე იურე.

ვდიარებთ იმ სამწუხარო ფაქტს, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთი დაპყრობილია, – განაცხადა ბენდუქიძემ.

აფხაზეთის რკინიგზის აღდგენით საქართველოსთვის ბენდუქიძე ამ გზით დიდ სარგებელს ვერ ხედავს.

– რუსეთმა საქართველოს ემბარგო რომ დაუწესა, ეგონა ამით საქართველოს გაანადგურებდა, მაგრამ დღეს მხოლოდ იმას მიაღწია, რომ არის ზომით მეექვსე პარტნიორი, ანუ საკმაოდ პატარა სავაჭრო პარტნიორი, თანაც ეს არის ძირითადად იმპორტის შედეგი და მცირე მოცულობით ექსპორტის შედეგად. ამიტომ, არა მგონია, რომ ეკონომიკურ ჭრილობა, ამ რკინიგზის აღდგენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, მით უმეტეს, ჩვენ გვაქვს სამი პორტი, რომელიც მოქმედებს და ჩვენს კავშირს მსოფლიოსთან უზრუნველყოფს, – აღნიშნა ბენდუქიძე.



ირაკლი ალასანია: „მიგულეთი თქვენ გვერდით რიგით ჯარისკაცად“

ქართულ არმიას 22 წელი შეუსრულდა



შორენა მარსაგიშვილი

გუშინ ქართული არმიის დაბადების დღე იყო. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 22 წელი შეუსრულდა. წინა ხელი-სუფლებიდან განსხვავებით, მეოცნებებმა ეს დღე პომპეზურად აღნიშნეს. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი სიტყვა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ წარმოთქვა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, შეიარაღებული ძალების დღესთან დაკავშირებით ყველა სამხედრო ბაზაზე გაიმართა საზეიმო მოწყობა. თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ პროფესიული დღესასწაული პირად შემაღ-გენლობას თავდაცვის სამინისტროს სამწყობრო მოედანზე პირადად მიულოცა. მინისტრის მილოცვა ქართველ სამხედროებს ყველა სამხედრო ნაწილში საზეიმო მოწყობაზე გააცნეს.

— გილოცავთ საქართველოს შეიარაღებული ძალების 22-ე წლისთავს. ამ წლების განმავლობაში არაერთხელ დამატკიცეთ, რომ თქვენ საკუთარი სიცოცხლის ფასად ღირსეულად ემსახურებით საქართველოს. სამშობლო, ღირსება, ერთგულება



— ეს ჩვენი შეიარაღებული ძალების დღეა. ქართული არმიისთვის ეს მხოლოდ სიტყვები არ არის. თქვენ და თქვენმა თანამებრძოლებმა დაამტკიცეთ, რომ საქართველოს ღირსეული შვილები ხართ, რომლებიც აგრძელებთ ჩვენი წინაპრების გზას. არ არის ტყუია, რომელიც თქვენ შეგაჩერებთ, რადგან თქვენი ფესვები საქართველოშია, იმ ქვეყანაში, რომელსაც ბევრჯერ კლავენ და არ კვდებოდა. ამ ამაყი ვარ, რომ მერცხა, გემსახუროთ თქვენ, ვინც ჩვენს სამშობლოს იცავს. მიგულეთ თქვენ გვერდით რიგით ჯარისკაცად, — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

გუშინვე საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველა სამხედრო ბაზაზე ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ სამხედროებს წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს. თავდაცვის მინისტრმა, გაერთიანებული შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ და მისმა მოადგილემ, პოლკოვნიკმა ლაშა ბერიძემ საქართველოს შეიარაღებული ძალების 36 წარმატებულ ოპერაციებს უწყებრივი ღილაკი გადასცეს. პროფესიულ დღესასწაულზე შეიარაღებული ძალების მასშტაბით 152 სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა.

ჩვენი სამხედროები უწყრადლებოდ არც ქვეყნის პრემიერ-მინისტრს დაუტოვებია. მან სამხედროებს პროფესიული დღე პირადად მიულოცა.

— 30 აპრილი საქართველოს შეიარაღებული ძალების დღეა. მინდა, მივულოცო ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს ეს დღე. მათ უდიდესი, ურთულესი და ყველაზე საპატიო მისია აკისრიათ — ისინი ერთგულად ემსახურებიან სამშობლოს, იცავენ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ხალხს და საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების საღარაჯოზე დგანან. ჩვენ ვამაყობთ იმ გამორჩეულ სულისკვეთებით, რომელიც ჯარში სუფევს. ჯარისკაცები ჩვენი ხალხის, ჩვენი საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენლები არიან. დღეს ჩვენი სამხედროებისთვის ისევე საამაყოა ჯარისკაცობა, როგორც ჩვენი წინაპრებისთვის იყო. ისინი ისევე მზად არიან, დაიცვან ქართული სახელმწიფო და სიცოცხლეც არ დაიშურონ მისთვის. ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენი სამხედრო ქვედანაყოფები მონაწილეობენ საერთაშორისო მისიებში. ისინი იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას, თანამშრომლობენ ნატოსა და სხვა პარტნიორი ქვეყნების ჯარებთან და ამით ისევე და ისევე ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს იცავენ.

მშვიდობასა და წარმატებებს ვუსურვებ თითოეულ ჩვენს ჯარისკაცს — რიგითებს, სერჟანტებს, ოფიცერებს. ვუსურვებ მათ, ემსახუროთ გამბედავებით, ძლიერ და დემოკრატიული საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და მტკიცედ მწამს, რომ ყოველთვის ღირსეულად ატარებენ ქართველი სამხედრო მოსამსახურის საპატიო სახელს, — ნათქვამია პრემიერის მილოცვის ტექსტში.

პრემიერი გუშინ სამხედრო წვრთნებსაც დაესწრო. ვაზიანის სამხედრო პოლიგონზე საქართველოს შეიარაღებული ძალების დაარსების 22 წლისთავთან დაკავშირებით საჩვენებელი სავსე ტაქტიკური სწავლება „ისარი 013“ გაიმართა.

საჩვენებელ სწავლებას, ივანიშვილის გარდა, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი და მინისტრთა კაბინეტის თითქმის ყველა წევრი ესწრებოდნენ.

საჩვენებელი სწავლება დაახლოებით 40 წუთი გაგრძელდა. სწავლების შემდეგ ბიძინა ივანიშვილს სამხედროებს პირადად მიესალმა.

სწავლების მიმდინარეობისას სპეციალური ოპერაციული ძალების სამხედროებმა თავდაპირველად სპეციალური ოპერაციების ძალების მებრძოლთა შერჩევის ეტაპები აჩვენეს, შემდეგ კი ჩასაფრების, დევნა-გადარჩენის, საცეცხლე მომზადებისა და ძალთა გამოყვანის ამოცანები განახორციელეს.

ზეიმი ამით არ დასრულდა. სამხედრო ნაწილებში კონცერტებიც გაიმართა და ბიჭებმა თითო ჭიქაც დალიეს, ალბათ.

ქართველ სამხედროებს პროფესიული დღე თითქმის ყველამ მიულოცა. მილოცვას „ახალი თაობაც“ უერთდება. იმედია, ჩვენი მებრძოლები სახლშიც და გარეთაც სახელიანად და მშვიდობიანად ივლიან.

უჩა ნანუაშვილი: „ჩვენები ქართულ პასპორტებს უსხო ქვეყნებში საქართველოს საელჩოების საშუალებით იღაზდნენ“

სახალხო დამცველის



შორენა
მარსაგიშვილი

ლაფანყურში ჩატარებული სპეცოპერაცია დღემდე ბურუსით არის მოცული. მის გამოძიებას ყველა მოუთმენლად ელოდება. მეოცნებე ხელისუფლება გვერდებზე, რომ წინ დიდი სკანდალები გველოდება. ლოპოტას ხეობაში მოწყობილი სასაკლავო გამოძიებას ყველაზე აქტიურად სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ითხოვს. მან პარლამენტში უკვე გააგზავნა ანგარიში. სკანდალი და ალაქაქოთი სწორედ ამ ანგარიშს მოჰყვა. ნანუაშვილმა თქვა, რომ ნაციონალური ხელისუფლება ჩვენს მებრძოლებს საქართველოს ტერიტორიაზე ამზადებდა.

ამ თემაზე პარლამენტში გუშინაც საუბრობდნენ. სახალხო დამცველის მოხსენებას ჯერ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი განიხილავს. კომიტეტის სხდომას სულ 7 დეპუტატი ესწრებოდა. ესენი იყვნენ: გედევან ფოფხაძე, აკაკი მინაშვილი, ფატი ხალვაში, ეკა ბესელია, მერაბ კატახიძე, ოთარ ჩრდილელი და ომარ მეგრელიძე.

გუშინ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა პარლამენტში ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს დაღუპული ასლან მარგოშვილის ცეცხლსასროლი იარაღის მოწმობა წარადგინა. სახალხო დამცველის განცხადებით, ჩვენები საქმის გამოძიებას არ ენდობიან, რისი მიზეზიც ის არის, რომ მათ იგივე გამოძიებები დაჰკითხავენ.

— მათ იგივე გამოძიებები დაჰკითხავენ, რის გამოც ნდობის მომენტი არ დგას. ეს ადამიანები მზად არიან, დეტალური ინფორმაცია მისცენ გამოძიებას. საქმეში მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ მისცა მათ იარაღი. ასლან მარგოშვილის ცეცხლსასროლი იარაღის მოწმობა თან მაქვს, — აღნიშნა ომბუდსმენმა.

ამ განცხადებამ ნაციონალები გააღიზიანა. პირველს რეაქცია აკაკი მინაშვილს ჰქონდა. — საქართველოს მოქალაქეს გაფორმებული იარაღის შენახვის უფლება აქვს.

პირს იარაღის შენახვისა და დარეგისტრირების უფლება აქვს, — აღნიშნა მინაშვილმა.

მინაშვილის რეპლიკა უპასუხოდ არ დაუტოვებია სახალხო დამცველს. უჩა ნანუაშვილი დაინტერესდა, რატომ არის ახლა ამოგდებული მარგოშვილის მოწმობა მონაცემთან ბაზიდან ისევე, როგორც უნივერსიტეტიდან არის მისი მონაცემები გამქრალი.

— რატომ გაქრა მისი კვალი? მინდა, მიზეზებზე ვისაუბრო და არა შედეგებზე, — დასძინა მან.

დეპუტატი მარიამ საჯავაძე დაინტერესდა, საიდან აღმოაჩნდა მარგოშვილის იარაღის მოწმობა, როგორც მტკიცებულება, ნანუაშვილს, რაზეც ომბუდსმენმა განმარტა, რომ ეს მტკიცებულება საქმიდან არ არის ამოღებული.

სახალხო დამცველმა გუშინ კიდევ ერთი ხმაურიანი განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ეთნიკურად ჩვენები საქართველოს პასპორტებს უცხო ქვეყნებში საქართველოს საელჩოების საშუალებით იღებდნენ. ნანუაშვილის თქმით, მას ამ ინფორმაციის შესახებ აქამდე არ უთქვამს.

— ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა, რის გამოც უნდა პასუხისმგებლობა გამოიყენებამ კი დასცეს. ეს მოქალაქეები, ეთნიკურად ჩვენები, საქართველოს პასპორტებს საელჩოე-

მოსასმენად შეიძლება დეპუტატმა მოიცალა

ბის გამოყენებით იღებდნენ. ეს არის გამოსაძიებელი და უნდა დადგინდეს კონკრეტული მიზეზი — რა იყო ამის უკან. ამ მოვლენას გვერდს ვერ ავუვლიდი, როცა საუბარია სიცოცხლის უფლების ხელყოფაზე, — განაცხადა სახალხო დამცველმა.

იყო საუბარი, რომ ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შესასწავლად საპარლამენტო კომისია შექმნილიყო. მერე დეპუტატებმა ეს გადაიფიქრეს, არადა, ყველა მეოცნებე დეპუტატი იფიცებოდა, სპეცოპერაციის გამოვიძიებოთ.

თავის ანგარიშში სახალხო დამცველი კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ შსს-ს მაღალი თანამდებობის პირების მითითება-თხოვნით 2012 წლის თებერვლიდან დაიწყო მოლაპარაკებები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ჩვენების ომის ვეტერანებთან, ჩვენ დევნილებთან და ჩვენთა წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებთან.

კერძოდ, დასკვნის მიხედვით, საქართველოს ძალოვანი უწყებები ჩვენს მეომრებს ე.წ. კორიდორს ჩვენთაში გადასასვლელად ჰპირდებოდნენ — საქართველოში წვრთნას, აღჭურვასა და ჩვენთაში გადასვლისთვის ყოველგვარი პირობების შექმნას.

— ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში ჩვენების ჩამოსვლა მარტივად დაიწყო. მათთვის თბილისის ზოგიერთ უბანში (ძირითადად საბურთალოს რაიონში) დაიკოპირებინათ. საქართველოს შსს-ს მაღალჩინოსნების დაპირების მიხედვით, ჩვენთაში ყოველთვიურად დაახლოებით 50-მდე მებრძოლი უნდა გადასულიყო. ჩვენთაში საომრად გადასვლის იმედით, ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში დაახლოებით 120 ჩვენი და ჩრდილოკავკასიური წარმოშობის მებრძოლი ჩამოვიდა. ჩამოსულ ჩვენებს აეროპორტში ხვდებოდნენ და შსს-ს მაღალჩინოსნებს დისლოკაციის ან საცხოვრებელ ადგილებზე გადაწყვედით. შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები ჩუქნიდნენ და უფორმებდნენ მათ იარაღს, აძლევდნენ მარვის მოწმობებს, სხვა საჭირო დოკუმენტებსა და ნივთებს. სახალხო დამცველს მი-აწოდეს ლაფანყურის სპეცოპერაციისას გარდაცვლილი ასლან მარგოშვილის სახელზე საქართველოს შსს-ს მიერ 2012 წლის 23 ივლისს გაცემული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა „სტეჟინის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის უფლებით, რაც ამ ოპერაციასთან საქართველოს ძალოვანი უწყებების კავშირზე მიანიშნებს. ჩვენები მებრძოლებისგან ჩამოყალიბებული ჯგუფების წევრები წვრთნას ვაზიანისა და შავნაბადის სამხედრო ბაზებზე გადიოდნენ. ჩვენები მებრძოლები ჯგუფებად დაყვეს. ჯგუფების ინსტრუქტორები იყვნენ საქართველოს ძალოვანი უწყებების თანამშრომლები, ასევე სხვადასხვა ომში დიდი გამოცდილების მქონე ჩვენები მეომრები. 2012 წლის ზაფხულში ევროპიდან პანკისის ხეობაში ჩვენების დიდი ჯგუფის ჩამოსვლას პანკისის ხეობის მცხოვრებლებიც ადასტურებენ. ჩვენები მებრძოლების ჯგუფთან უშუალო კავშირი ჰქონდათ და მათთვის საჭირო ყველა საკითხს აწესრიგებდნენ შს მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე, შსს-ს მაღალჩინოსნები სანდრო ამირიძე და ზურაბ მაისურაძე. 2012 წლის მარტიდან ჩვენები მებრძოლების წვრთნა დაგეგმილზე მეტხანს გაგრძელდა, რამაც ჯგუფის წევრებში თავიდანვე უარყოფითი შეფასებები გამოიწვია. ჩვენები მებრძოლები ითხოვდნენ ჩვენთაში გადასასვლელად შეპირე-



ლდნენ. წყაროს ინფორმაციით, ლაფანყურში დაბანაკებული ჯგუფის ქართველი წევრების მოვალეობაში შედიოდა ჯგუფის სამედიცინო მომსახურება, მეგზურობა დაღესტნის საზღვრამდე და ინსტრუქტაჟი. სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ასლან მარგოშვილის მამა, მერაბ მარგოშვილი, სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აცხადებს, რომ მისი შვილი წვრთნას გადიოდა შავნაბადის ბაზაზე, ხოლო სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი საქართველოს ძალოვანი უწყებების თანამშრომლები, ნიკლაური და ჩოხელი, ამ ჯგუფის ინსტრუქტორები იყვნენ, — აღნიშნულია ანგარიშში.

ომბუდსმენის წყაროს ინფორმაციით, სპეცოპერაციაში მონაწილეობდა ავიაცია, რომელმაც ჯგუფის წევრებს ცეცხლი გაუხსნა.

სახალხო დამცველი საექვოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ოჯახის წევრებს არ აძლევდნენ გარდაცვლილთა ცხედრებს, რომლებიც შემდეგ გადა-ნის ციხის ტერიტორიიდან გადასცეს.

— გარდაცვლილი მარგოშვილისა და ქვეთარაშვილის შვილებისა და ბალავაშვილის ნათესავის განმარტებით, საქართველოს შს მინისტრის მოადგილე გ. ლორთქიფანიძე და შსს-ს მაღალი თანამდებობის პირი სამირიძე მხოლოდ იმ პირობით დათანხმდნენ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისთვის ცხედრების გადაცემას, თუ გარდაცვლილებს დაკრძალვდნენ იმავე ლამეს დაკრძალვდნენ ჩუქნად, დაკრძალვის ტრადიციული რიტუა-ლის გარეშე და ოჯახის წევრებთან სამიმარზე არ უნდა მისულიყო ხალხი. გარდაცვლილთა ოჯახის წევრები იძულებული შეიქნენ, დათანხმებულიყვნენ შსს-ს მაღალი თანამდებობის პირების ამ მოთხოვნებს. 3 სექტემბერს, გვიან ღამით, გარდაცვლილთა ცხედრები გამოასვენეს სასჯელაღსრულების გლდანის დაწესებულების მორგოდან და გადასცეს ჭირისუფალს. დაკრძალვზე დასწრების უფლება მხოლოდ გარდაცვლილთა მამებს მისცეს. დაკრძალვის დას-წრენ შსს-ს მაღალჩინოსნები.

სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი სხვა ჩვენები მებრძოლების ცხედრები თავდაპირველად დაკრძალეს აეროპორტის ტრა-სის სიახლოვეს მდებარე ე.წ. უპატრონოთა სასაფლაოზე. მოთხოვნის მიუხედავად, ცხედრებს კარგა ხანს არ გადასცემდნენ მათი ოჯახის წევრებს, — აღნიშნულია ანგარიშში.

პარლამენტის გარდა, სახალხო დამცველი საქართველოს მთავარ პროკურატურასაც მიმართავს და მოუწოდებს, დაიწყოს გამოძიება საქართველოს შსს-ს მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩვენები მებრძოლების გამოყენებით 2012 წელს უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით.



ვაჟა ოთარაშვილი: „ოდიშარია საბიუჯეტო თანხებს ბანდენსიურად განაქარბავს“



შორენა კოწოწაშვილი

მწეხადი ვაჟა ოთარაშვილი კეტეხის მინისტრ გუჟამ ოდიშაიას უპიხისპიხედა და მას სახელმწიფო სახსრების უკანონოდ განაქარბავს ამხელს. ოთარაშვილი აცხადებს, რომ ოდიშაია კეტეხის სამინისტროში სააკაშვილის ხაზს ატყუებს და დღესაც ნაცნობობით ხდება სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერების მოგება.

ვაჟა ოთარაშვილი იმ 100 ათასი ლარის კანონდარღვევით განკარგვის ფაქტს ახმაურებს, რომელიც კულტურის სამინისტროს ლიტერატურისა და კულტურის სხვა დარგების განვითარებაზე ხელშეწყობის მიზნით უნდა განეკარგა.

რატომ უჩივის მინისტრ ოდიშარიას ოთარაშვილი და მართლაც დაარღვია თუ არა კულტურის მინისტრმა სატენდერო პირობები, ამ თემაზე მასთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს მწერალ ვაჟა ოთარაშვილთან.

— ბატონო ვაჟა, პარლამენტში კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია 6 თვის მანძილზე განუხლ სამუშაოს შეაჯამებს. თქვენი აზრით, რამდენად შეიცვალა წინა ხელისუფლების პოლიტიკა კულტურის სფეროში და, საერთოდ, რამდენად წარმატებულია მინისტრი ოდიშარია?

— მე ვფიქრობ, რომ კულტურის სამინისტრო ანტიკარტულ და ანტიეროვნულ მოღვაწეობას აგრძელებს და ამას კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით მოგახსენებთ. კულტურის მინისტრი და მთლიანად ეს სამინისტრო აგრძელებს ნაციონალისტების მიერ ანტიკარტულ კურსს. არავითარი ცვლილება ამ კურსში არ შეინიშნება, უფრო მეტიც, სამარცხვინოა კულტურის მინისტრის მოადგილის განცხადება, მოადგილის გამოსვლა ბათუმში მეჩეთის აშენების პოზიციასთან დაკავშირებით. როდესაც მიზანდარი ბრძანებს, რომ საქართველოში ოსმალური კულტურის ძეგლები უნდა აღადგინონ, ეს არის სამარცხვინო. ვიმეორებ, საქართველოში ოსმალური კულტურის ძეგლები არასოდეს ყოფილა. ოსმალეთი იყო საქართველოს ისეთივე დამპყრობელი და საქართველოს ისტორიული მიწების დაახლოებით 35% დღეს თურქეთის ხელშია. იმის მაგივრად, რომ

ჩვენი ყოფილი დამპყრობლის, თურქეთის ტერიტორიაზე ჩვენი ისტორიული ძეგლების აღდგენა მოვითხოვოთ იუნესკოს, გაეროსა და მსოფლიოს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, როგორც ჩანს, იქით ვუთმობთ აჭარის რეგიონს. ეს ერთი კონკრეტული მაგალითი, რაც შეეხება „ოსმალური კულტურის“ ძეგლებს. ეს ერთი ძალიან მტკივნეული საკითხი, თუმცა მე ხელთ მაქვს არანაკლებ მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხების თაობაზე დოკუმენტაცია, რომელიც ოდიშარიას უკანონო გადანაცვლებას ადასტურებს.

— რას გულისხმობთ?
— 2013 წლის 11 მარტს კულტურის სამინისტრომ, უფრო კონკრეტულად, „საქართველოს მწერალთა სახლმა“ გამოაცხადა კონკურსი სალიტერატურო ჟურნალის გამოცემის ხელშეწყობის მიზნით. კონკურსის პირობებში ხაზგასმით წერია, რომ კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სალიტერატურო პერიოდიკით დაკავებული იურიდიულ პირებს, რომლებსაც ამ სფეროში მუშაობის მიზნით ერთწლიანი გამოცდილება მაინც გააჩნიათ, ლიტერატურულმა ჟურნალმა უნდა ასახოს როგორც პროზა და პოეზია, ასევე დრამატურგია და ა.შ. ამ კონკურსის პირობებიდან გამომდინარე, მე, როგორც ჟურნალი „ლიტერატურა“ და ხელშეწყობის“ დამფუძნებელმა და მთავარმა რედაქტორმა, განცხადება შევიტანე სამინისტროში ამ ჟურნალის დაფინანსების თაობაზე. კულტურის მინისტრს რადიკალურმა შეცვლიდა ავუსენი, რომ ეს ჟურნალი ნაციონალური მოძრაობის ბანდის წევრისა და მწერალთა კავშირში მოკალათებული ავსულების დახმარებით დაიხურა. უფრო კონკრეტულად რომ გითხროთ, ჟურნალს ყადაღა დაადეს, ვითომ ბიუჯეტში გადასახადი მქონდა 250 ლარი. ვიკითხე და თურმე დავაღიანება იყო 6,70 ლარი და ეს თანხა 250 ლარამდე გაიზარდა. ამის გამო ყადაღა დაადეს ჩემს სახელსაც თბილისში, სოფელშიც და იძულებული ვიყავი, ჟურნალის გამოცემა შემიჩერებინა. გაცილებით მეტი თანხა შევიტანე და ერთი თვის მერე ოფიციალურად მოწერილ ცნობაში მითითებულია, რომ მე ბიუჯეტის დავაღიანება კი არა, პირიქით, 270 ლარი მაქვს ზედმეტად გადახდილი. ეს ნაციონალისტების დროს ხდება და ამ ყველაფერზე საგანგებო პრესკონფერენციასაც გავმართავ ანუ ეს ყველაფერი იყო ბლეფი და ნაციონალისტების ხრიკები, რომ ჟურნალი გაჩერებულიყო.

ახლა ვთქვათ ამ ახალი ხელისუფლების ძვირფას და დემოკრატიულ გზაზე, რომელსაც კულტურის სამინისტროში ოდიშარია ახორციელებს. როგორც გითხარით, მათ მიერ გამოცხადებული კონკურსის პირობებს ჟურნალი „ლიტერატურა“ და ხელშეწყობა“ ბოლომდე აკმაყოფილებს და რომლის მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი, რობერტ სტურუა და სხვები. ჟურნალის რეზიუმეში არის ყველა ის სფერო, რომელსაც კონკურსის პირობები მოითხოვს და ეს ჟურნალი გამოდის 2006 წლიდან. მაგრამ ეს კონკურსიც ბლეფი გამოდგა და კულტურის სამინისტრო კვლავ თავის ნაცნობ-მეგობრებს გადასცა გრანტი, რომელიც კულტურის განვითარების ხელშეწყობისთვის იყო გამოყოფილი 100 ათასი ლარის ოდენობით. თანხა გადაეცა ჟურნალის „ახალ საუნჯეს“ და „არილს“, მოგეხსენებათ, მთარგმნელობითი პროფილის ჟურნალია. რაც შეეხება „ახალ საუნჯეს“, მისი პრეზენტაცია 2012 წლის ბოლოს გაიმართა. ამ ჟურნალმა მხოლოდ ოთხი ნომერი გამოსცა დღემდე და, ამის მიუხედავად, მაინც მიიღო დაფინანსება კონკურსის პირობის დარღვევით, სადაც ცალსახად ეწერა, რომ ლიტერატურულ ზეგზავრ გამოცემას მიზნით ერთი წლის გამოცდილება მაინც უნდა ჰქონდეს. უფრო მეტს გეტყვით, ჟურნალ „ახალ საუნჯეში“ იბეჭდებიან დიანა ამფიბიანი, გურამ ლომაჯიძე — პირები, რომლებიც ამ სატენდერო კომისიის წევრები არიან. ჩვენი კანონმდებლობით კი ეს იკრძალება. რა განსხვავებაა იმ პერიოდს, როცა ნაციონალური ატარებდნენ ტენდერებს და თავიანთ ნაცნობ-მეგობრებს აძლევდნენ დაფინანსებას და დღევანდელ სიტუაციას შორის?! დღესაც კულტურის სამინისტროში იგივე სიტუაციაა. 4-5 თვის შექმნილ ჟურნალს როცა გადასცეს ეს თანხა, ეს არის საკონკურსო პირობების პირდაპირი დარღვევა. საკმაო კითხვებს აჩენს ის კომისიაც, რომელმაც გამარჯვებულის საკითხი გადაწყვიტა კულტურის სამინისტროში.

— ბატონო ვაჟა, თქვენ პრეტენზია გავთ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებასთან. რა სახის ნაბიჯებს გეგმათ საკუთარი უფლებების დასაცავად?

— აუცილებლად შევიტან სარჩელს სასამართლოში. მე ვესაუბრე კულტურის მინისტრს



და ვუთხარი, რომ ეს ჟურნალები მთარგმნელობითი პროფილისაა, რომელსაც თქვენ გაამარჯვებინეთ. მე გამომცემლებთან პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ დამისაბუთოს კულტურის სამინისტრომ, რითი სჯობია „ახალი საუნჯე“ ჟურნალ „ლიტერატურა“ და ხელშეწყობას“, სადაც ვასო გოძიშვილის, გოგლა ლეონიძის, ეროსი მანჯგალაძის, სესილია თაყაიშვილის და სხვების წერილები იბეჭდებოდა. აქ ბეჭდავდნენ წერილებს გურამ დოჩანაშვილი, ოტია იოსელიანი და სხვები. ეს ჟურნალი გაჩერებული იყო და მე აღვადგინე 2006 წელს.

— ანუ ამბობთ, რომ კულტურის სამინისტრომ ტენდენციურად განაქარბა საბიუჯეტო სახსრები?

— რა თქმა უნდა. კულტურის სამინისტრო უკვე იწყებს საბიუჯეტო თანხების ტენდენციურად განაქარბვას. ვნებთ კვირის გასვლას ველოდები და სარჩელს აუცილებლად შევიტან კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ. ვფიქრობ, უსაფუძვლოდ და არასამართლიანად იქნა მიღებული გადაწყვეტილება და დაწინაურებული ჟურნალ „ლიტერატურა“ და ხელშეწყობის“ პროექტი, რომელმაც ოთხი ვარიანტი წარუდგინა. საინტერესოა რა არის იქით? კულტურის მინისტრს ვესაუბრები, რომელიც დაქრის საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ყველგან დოლ-გარმონით დაქვიფობს, იქნება ეს კახეთი თუ რაჭა და საქმეს არ აკეთებს. ოდიშარიამ საუბარში მითხრა, ეს ჟურნალები შეიცვლიან მომავალში პროფილს და ისე გააკეთებენ, როგორც საკონკურსო პირობები მოითხოვს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე



ბანკმა „რესპუბლიკა“ ჯგუფი „სოსიეტი“ შენარჩუნა კახეთში ახალი ფილიალი გახსნა

საბანკო სექტორი თანმიმდევრულად ფართოვდება რეგიონებში. აგროსესხების გააქტიურებასთან ერთად ბანკები ცდილობენ, მეტი კომფორტი შეუქმნან მომხმარებლებს რეგიონში. ორშაბათს, 29 აპრილს, ქალაქ წნორში, თავისუფლების ქუჩის №3-ში ბანკმა „რესპუბლიკა“, ჯგუფი „სოსიეტი“ შექმნა ახალი 39-ე ფილიალი გახსნა. ფაქტია, ფილიალის გახსნა გააუმჯობესებს რეგიონში უკეთესი საბანკო მომსახურების მიღების შესაძლებლობას. საზეიმო გახსნაზე მოწვეულ სტუმრებს მასპინძლობდნენ, სიახლეებსა და ბანკის შემდგომი განვითარების სტრატეგიას აცნობდნენ ბანკის გენერალური დირექტორი კრისტიან კარმანიოლი და კომერციული დირექტორი რამაზ კუკულაძე.

ბანკი „რესპუბლიკა“ ჯგუფი „სოსიეტი“ შექმნა, როგორც უნივერსალური ტიპის ფინანსური ორგანიზაცია, თანაბარ ძალისხმევას უთმობს როგორც საცალო, ისე მიკრო და მცირე ბიზნესის სრული სპექტრის საბანკო მომსახურებით უზრუნველყოფას. ქალაქ წნორში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედ მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს, ბანკ „რესპუ-

ბლიკის“ ჯგუფი „სოსიეტი“ შექმნა, მაღალი ხარისხის მომსახურებით სარგებლობა ამიერიდან სხვა ქალაქში გადაადგილების გარეშე შეეძლებათ. ახალი სერვისცენტრი კლიენტებს კვირაში 6 დღე სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს.

რამაზ კუკულაძე, ბანკ „რესპუბლიკის“ ჯგუფი „სოსიეტი“ შექმნა, კომერციული დირექტორი: „ჩვენს კლიენტებს, განსაკუთრებით მიკრო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს, წარმოვუდგენთ ახალ ფილიალს ქალაქ წნორში, სადაც ისინი საკუთარი ბიზნესინტერესების გათვალისწინებით შექმნილი ინოვაციური საბანკო პროდუქტებით ისარგებლებენ და სწრაფ და კომფორტულ მომსახურებას მიიღებენ. ქალაქი წნორი ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით მთავრის მაქსიმალური კომფორტის შესაქმნელად შეგარჩიეთ. კახეთი ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი რეგიონია, ამიტომ მოხარულნი ვართ, ჩვენი მომსახურებით ხელი შევუწყობ წნორში ბიზნესაქტივობის გაზრდას.“

მიკრო და მცირე ბიზნესის გაყიდვების განვითარების უფროსი ზურაბ ქარცივაძე: „ბანკი რესპუბლიკა“ აგროდაკრედიტების მიმართულებით აქამდე არ მუშაობდა, რადგან არ გვქონდა გამოცდილება და თანაც ვთვლიდით, რომ აგროსექტორს აუცილებლად სპეციალიზებული თანამშრომელი უნდა დალაპარაკებოდა. მას შემდეგ, რაც ჩამოვყავალიბეთ სპეციალური გუნდი, ამ მიმართულებით დავინყეთ აქტიური მუშაობა. ჩვენი აქტივობა გამოიხატება იმაშიც, რომ იაფი კრედიტის პროგრამის ფარგლებში შევვდივთ ბაზარზე.

როგორც იცით, იაფი აგროკრედიტის

პროგრამაში არის 3 კომპონენტი, ჩვენი ორ, მეორე და მესამე კომპონენტი ვიღებთ მონაწილეობას. მე-2 კომპონენტი გულისხმობს თანხის გაცემას 5 ათასი ლარიდან 100 ათას ლარამდე, მე-3 კომპონენტი კი — 30 ათასი დოლარიდან 600 ათას დოლარამდე თანხის გაცემას. მე-3 კომპონენტში უკვე გვაქვს 3 განაცხადი, რომლებიც უკვე დამტკიცებულია და დარჩენილია მხოლოდ თანხის გაცემის პროცედურა, საუბარია 1 800 000 (მილიონ რეაასიათასი) დოლარზე.

ვიდრე იაფი აგროკრედიტის პროგრამა გამოცხადდებოდა, ბანკში გაჩნდა იდეა, რომ ეს მიმართულება გაგვეწვითა-რება და დავინყეთ მუშაობა აგროდაკრედიტების კონცეფციაზე. ამას თან დაერთო ისიც, რომ აგროსექტორი ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტად გამოცხადდა.

2013 წელს ვაპირებდით ფილიალების გახსნას ქალაქის ტიპის დასახლებებში, მაგრამ მოგვიანებით ორიენტაცია აგროდასახლებებზე ავიღეთ. ჩვენ გავხსენით ფილიალი წნორში. უახლოეს პერიოდში ვაპირებთ ფილიალი ახალციხეშიც გავხსნათ. იმის გამო, რომ ჩვენ აგრომომართულებითაც გვაქვს პროდუქტი, „ბანკ რესპუბლიკას“ სურს, რომ ახლო იყოს აგროდასახლებებთან. როგორც უკვე აღვნიშნე, ფილიალი წნორში უკვე გვაქვს, მალე გავხსნით ახალციხეშიც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ „ბანკი რესპუბლიკისთვის“ აგროდაკრედიტება და აგროსექტორი ძალიან მნიშვნელოვანია.

ბანკის „რესპუბლიკა“, ჯგუფი „სოსიეტი“ შექმნა, კორპორატიული ფილოსოფიის თანახმად სტაბილური განვითარების საფუძველი კლიენტებთან გრძელვადიანი და პარტნიორული ურთიერთობების

დამყარება და განმტკიცებაა. სწორედ ამის ნიშნად, წნორის ფილიალის გახსნაზე ბანკის პარტნიორმა, კომპანია „სოხის ცრემლები“ თავისი ღვინოების დეგუსტაცია გამართა. უშუალო ურთიერთობები ხელს შეუწყობს ბრენდის ცნობადობის გაზრდას ქვეყნის მასშტაბით და კომპანიის შემდგომ განვითარებას.

რატომ მაინცდამაინც „სოხის ცრემლებთან“ ერთად?

თავად ამ კომპანიის შექმნა და წარმატებული საქმიანობა უშუალო ურთიერთობების კეთილი გავლენის სანიშნო მაგალითია. „სოხის ცრემლები“ ქართველი მეღვინის, გელა ფათაღოშვილისა და უცხოელი მზატურის, ჯონ ვუდერმანის იმ შემთხვევითი შეხვედრის შედეგად შეიქმნა, რომელშიც ახლა თამაზად შეიძლება ითქვას, რომ განგების ხელი ერიბა.

კარგ დასაწყისს უკეთესი გაგრძელება მოჰყვა. „სოხის ცრემლები“ კარგი მეურნისა და მეღვინის ცოდნით (რვა თაობა მეღვინეების გამოცდილებით), ჯონისა და სხვა უცხოელთა პარტნიორობით უკვე ქვეყნის გარეთაც ცნობილია და ქართული ღვინის პოპულარიზაციას ხელს უწყობს.

ბანკი რესპუბლიკა 1991 წელს დაარსდა. ის ჯგუფი „სოსიეტი“ შექმნა, რომელიც 2006 წლიდანაა. იგი საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული საფინანსო-საბანკო ინსტიტუტია მომსახურების სრული სპექტრით და საცალო და კორპორაციულ ბაზარზე ლიდერის პოზიციებს არ თმობს. თავისი უნივერსალური ბიზნესმოდელითა და განსაკუთრებული მიდგომით მომხმარებლისთვის იგი საიმედო და გრძელვადიანი პარტნიორია.



ნანა კაკაბაძე: „თანამდებობაზე მხოლოდ რისკუბლიკალებს ნიშნავენ“



ნონა ცაბაძე

ინტერვიუ უფლებამოსიერ ნანა კაკაბაძესთან

– ქალბატონო ნანა, მოდი თქვენთვის ბოლო პერიოდის პროცესები. საზოგადოებაში გაჩნდა განცდა, რომ ახალი ხელი-სუფლებამ სამართლიანობის აღდგენა გადაიფიქრა. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?

– საზოგადოებაში სერიოზული მითქმა-მოთქმა გაჩნდა იმ პოლიტიკის მიმართ, რომელსაც დღეს ქართული ოცნება ეწევა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ. საზოგადოების ძალიან სერიოზული ნაწილი ლაპარაკობს იმაზე, რომ არსებობს რაღაცა გარიგება, რომელიც შედგა საზოგადოების, ხალხის მიღმა, ისე, რომ ხალხს ამის თაობაზე ინფორმაცია არა აქვს, მაგრამ აშკარა არის, რომ არის რაღაცა გარიგება. აი, ასეთი ხმები დადის არა მარტო თბილისში, არამედ შემოიღია გითხრათ, რომ ახლახან ჩამოვედი ბათუმიდან, ვიყავი რეგიონებში და ექაც ანალოგიურად ფიქრობენ, რომ შედგა გარიგება. რა არის ახლა ამის მიზეზი? იმ პოლიტიკის, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ყოფილი ხელისუფლების მიმართ ეწევა. ერთის მხრივ, თითქოსდა ჩანს სიტყვიერი დაპირისპირება, მაგრამ საქმიან ურთიერთობებში ეს დაპირისპირება საერთოდ არ იგრძნობა.

– საქმიან ურთიერთობებში რას გულისხმობთ?

– იგივე საკადრო პოლიტიკას, რომელიც ტარდება და ისევე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები არიან ხელისუფლებაში და მათი შეცვლა არ ხდება. ან თუკი ვინმე ახალი სახე ჩნდება თანამდებობებზე, როგორც ამბობენ, ეს დამატება ხდება მხოლოდ რესპუბლიკური პარტიიდან. რაც შეეხება ქართული ოცნების დანარჩენ წარმომადგენლებს, მათი აბსოლუტური იგნორირება ხდება, როგორც თანამდებობებზე, ისე სხვა საკითხებში. მათ შორის პოლიტიკაში მათი აქტიურობა ძალიან ნაკლებად ჩანს და ამას საზოგადოება უყურებს არაერთგვაროვნად. ერთ-ერთი პოზიცია, გითხრათ, არის ის, რომ ხელისუფლება გარიგებულია და ჩვენ დავგრძნობთ მოტყუებულები, რადგან ხალხს არანაირი გარიგება არ სურდა. რაც შეეხება პატივებს, ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავის მტერს მიუტევოს და აპატიოს ყველაფერი, რასაც საჭიროდ ჩათვლის, მაგრამ როდესაც საუბარია იმაზე, რომ ამ ადამიანებმა დააზიანეს სხვა მოქალაქეები, დააზიანეს საქართველოს ინტერესები, ქართველი ხალხის ინტერესები, ამის პატივის უფლება არავის არა აქვს. ჩვენ ყველას შეგვიღია საკუთარ მტერს და იმ ხალხს ვაპატიოთ, ვინც ჩვენს წინაშე დააშავა, მაგრამ ვინც სხვის წინაშე ჩაიდინა დანაშაული, მით უმეტეს, სისხლის სამართლის დანაშაული, მისი პატივის უფლება ხელისუფლებას ასე ცალსახად ნამდვილად არა აქვს. იმიტომ, რომ როდესაც ხალხი ამბობს, რომ სამართლიანობა უნდა აღდგეს და ეს არ არის ტერმინი, რომელიც მაინცდამაინც ჩვენმა ორგანიზაციამ შემოიტანა ამ ქვეყანაში, ეს ტერმინი გაჩნდა მაშინვე, როგორც კი ქართულმა ოცნებამ მოიგო არჩევნები. უკვე 2 ოქტომბრიდან ხალხი ელოდა სამართლიანობის აღდგენას, რაც იმას გულისხმობდა, რომ დამნაშაულები უნდა ყოფილიყვნენ დასჯილი. უდანაშაულო, სამსახურიდან გამოყრილი ადამიანები უნდა აღდგენილიყვნენ თავიანთი სამუშაო ადგილებზე, პოლიტიკური ნიშნით დევნილი ადამიანები უნდა დაბრუნებულიყვნენ თავიანთი საქმიანობას. უდანაშაულო და არაკანონიერად სახლებიდან გამოყრილ ადამიანებს უნდა დასდგომოდეთ საშველი, ქონებაწარმოშულებს უნდა დასდგომოდეთ საშველი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ეს მოლოდინი მეორე დღიდან გაჩნდა, მაგრამ აგერ 7 თვეა გასული და ეს მოლოდინები მხოლოდ მოლოდინებად რჩება და რეალური ნაბიჯები ამ მიმართულებით არ იგდებენ. თუმცა, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ვაცნობიერებთ, ეს სასამართლო არის ისევე ძველი ხელისუფლების ხელში, მაინც იყო შესაძლებელი, თუნდაც სამსახურებიდან უკანონოდ გამოყრილი ადამიანები, რაღაცა ფორმით დაბრუნებულიყვნენ თავიანთი საქმიანობას და არ ყოფილიყვნენ ისეთი გაუბედურებულები, როგორი გაუბედურებულებიც ის ადამიანები იყვნენ 9 წლის მანძილზე; იმიტომ, რომ იყვნენ განსხვავებულად მოაზროვნეები და არ ეთანხმებოდნენ ხელისუფლებას. აი, ასეთი ნაბიჯების გადადგმის ნიშანწყალიც კი არ ჩანს. იგივე ხდება იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხში, იგივე ხდება სხვადასხვა მიმართულებით, დაწარგული ჯგუფების მიმართ. ამიტომ ჩნდება ეჭვი, რა ხდება? ეს არის გარიგება თუ ეს არის ხელისუფლების სისუსტე?! არც ერთი და არც მეორე საზოგადოებისთვის მისაღები არ არის! იმიტომ, რომ არც ერთისთვის და არც მეორისთვის ხალხს არ აურჩევია ახალი პოლიტიკური ძალა.

– ქალბატონო ნანა, ჩვენ უკვე ღიად გვცხმის მათგან, იგივე პარლამენტის თავმჯდომარისგან, რომ მათ უნდა გადაარჩინონ ნაციონალური მოძრაობა... ეს განცხადებები ღიად კეთდება.

– მარტო განცხადებებს კი არ აკეთებენ, ამას ქმედებებით ამკვიდრებენ. ერთადერთი ოპოზიციური ძალის ნიშანს აძლევენ

გიორგი ქადაგიძე: „სწრაფი გადახდის აპარატებით სარგებლობის სერვისის გაძვირებასთან დაკავშირებით, გადახდის პროცესის ყველა მონაწილის, მათ შორის მობილური ოპერატორების მიმართ „კითხვის ნიშნები“ არსებობს.“

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის განცხადებით, სწრაფი გადახდის აპარატებით სარგებლობის სერვისის გაძვირებასთან დაკავშირებით, გადახდის პროცესის ყველა მონაწილის, მათ შორის მობილური ოპერატორების მიმართ „კითხვის ნიშნები“ არსებობს.

„კითხვის ნიშნებია იმაზე, თუ როგორ მოხდა, რომ ერთ დღეს სამივე მობილურმა ოპერატორმა თავისი სადისტრიბუციო პოლიტიკის შეცვლა გადაწყვიტა და ერთდროულად ყველა მონაწილეს იდენტური ხელშეკრულებები გაუზავანა, რაც რეალურად მათი სერვისის გაძვირებას ნიშნავს“ – აღნიშნა გიორგი ქადაგიძემ.

მისი განცხადებით, ეროვნული ბანკი, სწრაფი გადახდის აპარატების მფლობელი კომპანიების ფინანსურ მდგომარეობასაც სწავლობს.

„ასევე შევისწავლით რიგი კომერციული ბანკების უფასო შეთავაზებასაც რაითა დავადგინოთ, ეს ჩვეულებრივი მარკეტინგული სვლაა თუ ფინანსურად უფრო სუსტი კონკურენტის ბაზრიდან გაყვანის მიზნით დროებითი დემონგური ფასის შეთავაზება. დასვნა რამდენიმე დღეში გვექნება და რეაგირებას კომპეტენტის ფარგლებში მოვახდენთ“ – აღნიშნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

ნოსტრესი



მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას. პარლამენტს მიღმა დარჩენილ ოპოზიციურ პარტიებს ისინი უფრო მეტ იგნორირებას უკეთებენ, ვიდრე ამ იგნორირებას უკეთებდა ნაციონალური მოძრაობა თავის დროზე. დღეს უფრო იგნორირებული არიან არასაპარლამენტო პარტიები ქვეყანაში, ვიდრე ეს იყო ნაციონალურების დროს. ეს ძალიან ცუდია, ხოლო ოპოზიციური ძალის ნიშანს აკავებინებენ, არასამართლიანად და აბსოლუტურად მიუღებლად ნაციონალურ მოძრაობას. ეს არ ნიშნავს ოპოზიციონერობას. ოპოზიციონერობა ნიშნავს განსხვავებული აზრის ქონას, სხვა სტრატეგიის და სხვა მიდგომების ქონას ნიშნავს ოპოზიციონერობა და არა კრიმინალობას. როდესაც ნაციონალურებას ლაპარაკობენ, რომ ეს არის ოპოზიცია, ეს არის ტყუილი იმიტომ, რომ ესენი არიან კრიმინალები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაულებები კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ. ასევე დანაშაული ჩაიდინეს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, ვგულისხმობ ტერიტორიული მთლიანობის დაცვას და 2008 წლის ომს და იმ უბედურებებს, რაც მოხდა. კონკრეტული დანაშაულებები ჩაიდინეს ციხის ბუნტთან, 7 ნოემბერთან, 26 მაისთან, გირგვლიანთან თუ ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ესენი არიან კონკრეტული სისხლის სამართლის დამნაშაულები. ეს პარტია იყო ის პარტია, რომელიც ასეთ დანაშაულებებს ამკვიდრებდა ქვეყანაში, შიშს ამკვიდრებდა, ტერორს ამკვიდრებდა და დღეს, ჩვენი დიდი თხოვნის და მოთხოვნის მიუხედავად, პარლამენტი არ უკეთებს შეფასებას ნაციონალური მოძრაობის 9 წლიან პერიოდს, არ ამბობს, რა იყო ეს. თუმცა პარლამენტმა უკვე 190 პოლიტიკური პატიმარი აღიარა, რაც თავისთავად რეჟიმის გულისხმობს ქვეყანაში, მაგრამ აღიარება პარლამენტის დონეზე თუ რა ხდება, ამას თავს არიდებენ და პირიქით, სწორედ, როგორც თქვენ თქვით, გამოდის პარლამენტის თავმჯდომარე და იხაზის, რომ ჩვენი მთავარი მიზანი ყოფილა თურმე, რომ როგორმე ნაციონალური მოძრაობა გადავარჩინოთ და ვაქციოთ, როგორც ოპოზიცია. ოპოზიცია ვაქციოთ ის ადამიანები, რომლებიც არიან კრიმინალები, რომლებსაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვთ დადენილი და დავტოვოთ ის ადამიანები პოლიტიკაში. ან თუნდაც პოლიტიკაში დავტოვოთ ის ადამიანები, ვინც ამ დანაშაულებებზე თვალებს ხუჭავდნენ, არ ახდენდნენ რეაგირებას და ფაქტიურად ფარავდნენ ამ დანაშაულს ამ პარტიის და მათი ინტერესების სასარგებლოდ. ეს ადამიანები დავტოვოთ პოლიტიკაში და დანარჩენი პოლიტიკური სპექტრი, რომელიც არსებობდა, ის პოლიტიკური სპექტრი მოვიშორეთ პოლიტიკური არენიდან, ეს ძალიან ცუდია.

– გამოდის, რომ დღევანდელ ხელისუფლებას სჭირდება სწორედ ისეთი „ოპოზიცია“, როგორიც ნაციონალური მოძრაობაა და არ აწყობს რეალური ოპოზიცია, ის, ვინც ოპონირებას გაუწევს?

– ერთია, რა აწყობს ხელისუფლებას, მაგრამ მეორეა, რა

სჭირდება ხალხს და რა სჭირდება ქვეყანას. ქვეყანას სჭირდება მართლაც ოპოზიციური ძალის არსებობა, რომელიც იქნება ორიენტირებული მართლაც ქვეყნის განვითარებასა და ქვეყნის ინტერესებზე და არა ის დამნაშავე ძალა, რომელიც, ჩემი აზრით, უნდა იჯდეს ციხეში და სასჯელს იხდიდეს. მე არ ვამბობ, რომ ყველა უნდა იჯდეს, მაგრამ კონკრეტული დანაშაულებები ხომ ჩაიდინეს კონკრეტულმა ადამიანებმა?! ვინ ზის დღეს და ვინ იხდის სასჯელს? იცით, რომ მიშა სააკაშვილი იყო უშუალოდ პასუხისმგებელი, ის იყო პასუხისმგებელი ადამიანის უფლებებზე ქვეყანაში და ამ ქვეყანაში არც ერთი უფლება არ არსებობდა, რომელიც ფეხქვეშ არ იყო გათელილი ხელისუფლების მხრიდან და მითხარით ერთი კონკრეტული ადამიანი, ვის ატეხინეს პასუხი დღემდე, ვის?

– მხოლოდ ბაჩო ახალაიას...

– დიახ, მხოლოდ ახალაიას, რომელიც ისეთი ბრალდებით არის დაკავებული, რომ დღე-ღამეზე, როდის გამოუშვებენ და როდის გამოაბრძანებენ იქიდან, კაცმა არ იცის.

– ოპოზიციაზე ვსაუბრობდით და ბიძინა ივანიშვილის განცხადება საზოგადოების წინაშე საკმაოდ სხვაგვარად გაიგო. როგორ გაიგეთ თქვენ, როდესაც ის საუბრობდა, რომ უნდა არსებობდეს მესამე ოპოზიციური ძალა, მან დაასახელა გვარებიც, თუ ვის ისურვებდა ამ გაერთიანებაში... რა ხდება, მართლად ოპოზიცია უნდა რომ შეადგეს?

– დიახ, ძალიან ცუდად მომხვდა ყურში, რას ნიშნავს დავნიშნოთ ოპოზიცია?! რას ნიშნავდა გვარების დასახელება, რომ ეს უნდა იყოს ოპოზიცია, ეს უნდა იყოს აქ... ახლა წავიდა ლაპარაკი იმაზე, რომ ვიღაცეებს რაღაც თანამდებობებსაც სთავაზობენ დღეს უკვე და გარიგებები მიდის. ეს არ არის ის დემოკრატია, რომელსაც ჩვენ ველოდით, ნამდვილად არ არის. მე იმედი მაქვს, რომ ამ ქვეყანაში მართლაც უნდა შეიქმნეს ჯანსაღი ოპოზიციური ძალა, მაგრამ არა ვინმეს მიერ დანიშნული და წინასწარ გამოცხადებული, რომ ჩემთვის ეს ოპოზიცია მისაღებია და ეს უნდა იყოს ოპოზიცია, ხოლო ეს არ არის მისაღები, აი, ასეთი რაღაცა არ უნდა ხდებოდეს ქვეყანაში ნამდვილად. ოპოზიცია ქვეყანაში ბუნებრივად უნდა იხადებოდეს იმ პრობლემებიდან გამომდინარე, რა პრობლემებიც ქვეყანაში გროვდება და როგორსაც ამას აღიკვემს საზოგადოება, იმის მიხედვით უნდა ყალიბდებოდეს ოპოზიციური პარტიები, ოპოზიციური განწყობები. ოპოზიცია, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს მაინცდამაინც მტერი ხელისუფლების, მაგრამ თუ რაიმე შეცდომას უშვებს ხელისუფლება, ოპოზიციური უნდა იყოს მზად, ჯანსაღად მიუთითოს ამ შეცდომებზე და უნდა აიძულოს ხელისუფლება, იყოს ისეთი, როგორი მოთხოვნაც, როგორი დაკვეთაც აქვს საზოგადოებას.

– ორიოდ დღის წინ გაიმართა შუალედური არჩევნები და ჩვენ ვნახეთ, რომ სამივე ოლქში ოცნების კანდიდატმა გაიმარჯვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ალბათ ასე იქნება საპრეზიდენტო არჩევნებზეც და ოცნების კანდიდატი გაიმარჯვებს. დიდი განხილვა მიდის თუ ვინ იქნება ოცნების კანდიდატი... როგორი იქნება თქვენი შეფასებები?

– ეს არჩევნები, რაღაცნაირად იყო ლაკშუსის ქაღალდი, როგორ არჩევნებს უნდა ველოდით სამომავლოდ ჩვენ დღევანდელი ხელისუფლებისგან და ვერ ვიტყვით, რომ მაინცდამაინც ეს არჩევნები იყო იმედის მომცემი თავისი შინაარსით. ამიტომ დღეს თავს შევიკავებ ამ ეტაპზე არჩევნების შეფასებისგან. ვიტყვი ერთადერთს იმას, რომ დღეს რაც შეიცვალა ამ ქვეყანაში, ძალიან სერიოზულად შეიცვალა საზოგადოება. მათ გააცნობიერეს ის დიდი შეცდომა, რომელიც ხალხმა დაუსვა 9 წლის წინ და გააცნობიერეს ის 9 წლიანი პერიოდი, რომლის დროსაც ნაციონალური მოძრაობის მიერ იმისი კეთების საშუალება, რასაც ის აკეთებდა. დაწყებული არჩევნებიდან, დამთავრებული ქვეყნის მართვის სხვადასხვა გამოვლინებებით, თუ როგორ მართავდა ის ქვეყანას, შიშს დაფუძნებულს და ასე შემდეგ. ხალხმა ეს გააცნობიერა და ძალიან ძნელია, ამ ხალხს, რომელიც შიშებისგან გათავისუფლდნენ და თავის თავზე იწენის ის უბედურება, რაც იქ ხდებოდა, რომლებიც პოლიტიკურად იყვნენ დევნილი, დაწარგული და ხმას ვერ იღებდნენ და გააცნობიერეს, რომ სწორედ ამ დუმილმა ფაქტიურად ხელი შეუწყო ნაციონალური მოძრაობის კიდევ უფრო გათავისუფლებულ პოლიტიკას და კიდევ უფრო მეტად დაიარსა მათი უფლებები. ეს ყველაფერი საზოგადოებამ გააცნობიერა და დღეს ამას აღარ დაუშვებს ეს საზოგადოება. თუ დაუშვებს კიდევ მსგავსი მმართველობის ფორმას, მაშინ მართლაც ღირსი ყოფილა ქართველი ხალხი, რა ყოფაშიც სააკაშვილმა ამოყვანა და რა ყოფაშიც სამომავლოდ იქნება. მე ვფიქრობ, ამას ხალხი აღარ დაუშვებს და ხალხის მოთხოვნა იქნება ის, რაც არის, რომ ქვეყანაში უნდა იყოს სამართლიანობა, უნდა იყოს დემოკრატია, უნდა იყოს კანონისაღმა პატივისცემა, რაც იმას გულისხმობს, რომ კანონის წინაშე თანასწორი უნდა იყოს ხელისუფლების წარმომადგენელი, ყოფილი იქნება ის თუ დღევანდელი, თუ რიგითი მოქალაქე. აი, ასეთი გვინდა ჩვენ დემოკრატია, ასეთი გვინდა არჩევნებიც, ის უნდა იყოს დემოკრატიული, გამჭვირვალე და ხალხს უნდა ეძლეოდეს საშუალება, გააკეთოს თავისი არჩევანი.

ჩვენს სამართალდამცველთაგან ნიშნული სიჩქარით კახილი საპარტიო მოქალაქე დააკავეს

თბილისის ინტერპოლის ბიუროდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩეხეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა, საქართველოს მიერ წითელი ცირკულარით ძებნილი, 1955 წელს დაბადებული ზურაბ ნადირაძე დააკავეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულმა პირმა 1994 წელს თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა გიორგი ქოიავა, გრიგოლ ნატროშვილი, გიორგი კირკიტაშვილი და იოსებ ქოიავა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ზურაბ ნადირაძე იმავე წელს ძებნილად გამოცხადდა, 2000 წლიდან კი ინტერპოლის მიერ წითელი ცირკულარით იძებნებოდა.

ჩეხეთის პოლიციამ ძებნილი არაერთხელ დააკავა, თუმცა სასამართლო, ექსტრადიციის მოთხოვნას არ აკმაყოფილებდა.

შს-ს ცნობით, ამჯერად ექსტრადიციის საკითხი ჩეხეთის იუსტიციის მინისტრმა დადებითად გადაწყვიტა და ზურაბ ნადირაძის ქართული მხარისათვის გადმოცემა უახლოეს პერიოდში მოხდება.

ნოსტრესი

ნოსტრესი



საქართველოში რაოდენობრივად მაშაქასებს ქალბატონები სჭარბობენ

მერი ნამორაძე

საქართველოში მაშაქა-ცებს რაოდენობრივად კვლავ ქალბატონები სჭარბობენ. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ქვეყნის მოსახლეობის 47.7 პროცენტი მაშაქაცია, 52.3 პროცენტი — ქალი. დემოგრაფებს თუ დავუჯერებთ, ზოგადად ვაჟი უფრო მეტი იბადება, ვიდრე ქალი, მაგრამ გოგონები გაცილებით სიცოცხლისუნარიანები არიან, ვიდრე ვაჟები და ეს წლების შემდეგ ციფრებშიც შესაბამისად აისახება.

რაც შეეხება ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობას, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 4 483.8 ათასი კაცი შეადგინა. სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, ქვეყნის მოსახლეობის 53.2 პროცენტი, ანუ 2 387.0 ათასი კაცი ქალბატონია, 46.8 პროცენტი — 2 096.8 ათასი კაცი კი სოფლებს ეკუთვნის. ამასთან, ბოლო 3 წლის განმავლობაში, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას

მკვეთრი ცვლილება არ განუცდია. 2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 4 469.2 ათასი კაცი შეადგინა, 2012 წელს კი 4 497.6 ათასი კაცი. ოდნავ გაზრდილია 0-4 წლის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში. ეს მონაცემი წინა წელთან შედარებით 0.2 პროცენტით გაიზარდა. 2006 წლიდან 0-4 ასაკის მოსახლეობის წილი მატულობს, რაც ცოცხალ დაბადებულთა რიცხოვნობის ზრდით არის გამოწვეული. რა თქმა უნდა, უმთავრესი წვლილი მაინც პატრიარქის მონაწილეობის მიუძღვის მესამე შეილის გაზრდასთან დაკავშირებით.

სამაგიეროდ, 2012 წელთან შედარებით, 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 0.5 პროცენტის კლება აღინიშნება, რაც ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებში აქტიური მონაწილეობით არის გამოწვეული. ასე რომ, მიგრაციაში სწორედ საქონიონი ასაკის ახალგაზრდები მონაწილეობენ, რაც ქორწინებების გადავადების ხელშეწყობით ერთ-ერთი ფაქტორია.

მერი ნამორაძე

რატომ იკავებენ თავს ქართველი წყვილები საქონიონი ხელშეკრულების გაფორმებისგან? რატომ არ გახდა პოპულარული ხელშეკრულება, რომელიც ოჯახური ცხოვრების კრახის შემთხვევაში ნაკლებად მტკივნეულად დაასრულებდა ქონებრივი დაგვის პროცესს? მიზეზი, ალბათ, ის არის, რომ ჩვენს ახლად შეუღლებულებს, როგორც წესი, ბევრი არაფერი გააჩნიათ და ძირითადად მშობლების ბინაში იწყებენ ცხოვრებას. ასე რომ, გასაყოფ-გამოსაყოფიც არაფერია. საქონიონი ხელშეკრულების შესახებ „ახალი თაობა“ ნოტარიუსთა პალატის გამგეობის წევრს, ნარგიზა ჯანსოთელს ესაუბრა.

— ქალბატონო ნარგიზა, რამდენად აქტუალურია ჩვენი წყვილებისათვის საქონიონი ხელშეკრულების გაფორმება?

— საქონიონი ხელშეკრულების აქტუალობა განაპირობა იმან, რომ კანონის ძალაში შესვლამდე, რომელიც საქონიონი ხელშეკრულებას ითვალისწინებდა, საქართველოში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთოვალეობები რეგულირდებოდა იმპერატორის ნორმებით. ანუ მეუღლეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონება ითვლებოდა მათ თანასაკუთრებად და განსხვავებულად არ შეიძლებოდა დარეგულირებულიყო. თუ განქორწინება მოხდებოდა, ეს ქონება გაიყოფოდა თანაბრად. ერთადერთი სასამართლო იყო უფლებამოსილი, ამ თანაბრობის საკითხებიდან გადახევა იმის გათვალისწინებით, არასრულწლოვანი შვილი თუ ჰყავდათ მეუღლეებს და რომელთან რჩებოდა ბავშვი.

დღეს ცხოვრებაში მომხდარმა ეკონომიკურმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა საკითხი, რომ მეუღლეებს ან მომავალ მეუღლეებს ჰქონდეთ საშუალება თავიანთი ქონებრივი უფლება-მოვალეობები დაარეგულირონ კანონის იმპერატორის ნორმებისგან განსხვავებული წესით. ანუ შეთანხმდნენ იმაზე, საერთო საკუთრებად რა ჩათვალოს, ინდივიდუალურ საკუთრებად რა მიიჩნიონ. ეს განაპირობა იმან, რომ ადრე იმპერატორულად იყო განსაზღვრული თანასაკუთრების რეჟიმი მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებზე, საბჭოთა პერიოდში მეუღლეებს გააჩნდათ სახლი, ელემენტარული ავეჯი, სახელფასო დანაზოგი და გასაყოფიც არაფერი იყო. შესაბამისად კარ-



გი ნორმა იყო მათთვის ის, რომ რასაც შეიძენდნენ, საერთო ყულაბაში ჩაყარათ და განქორწინების შემთხვევაში თანაბრად გაიყოფოდა. ეს აკმაყოფილებდა იმ დროს არსებული ოჯახების მოთხოვნებს.

— ახლა რა შეიცვალა, გამდიდრდნენ ჩვენი წყვილები?

— დღეს შეიცვალა საზოგადოებრივეკონომიკური წყობა, რომელმაც წინა პლანზე მატერიალური აქტივობები წამოიწია. ხალხს გაუჩნდა რაღაც შემოსავლები და ამან განაპირობა ის, რომ მეუღლეს შეიძლება საწარმოში წილი ჰქონდეს, ბანკში აქციები გააჩნდეს, ჰქონდეს ფაბრიკები, ქარხნები და ასე შემდეგ. ეს უკვე ვერ თავსდება ვინროსაოჯახო ქონებრივ ურთიერთობებში, რომელიც ელემენტარულად ოჯახის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად იყო გათვალისწინებული. ამან განაპირობა ის, რომ მეუღლეებს და მომავალ მეუღლეებს მიეცათ უფლება, თავიანთი ქონებრივი ურთიერთობები ისე დაარეგულირონ, როგორც მოესურვებათ — თანასაკუთრების რეჟიმისგან განსხვავებულად.

— პრაქტიკაში რა ხდება, რა სისხი-რით აფორმებენ ჩვენი წყვილები ამ ხელშეკრულებას?

— ქართველები ვართ და ჩვენი სხვა მენტალობა გაგაჩნია. ახალგაზრდა წყვილებს რატომღაც ჰგონიათ, რომ თუ საქონიონი კონტრაქტს გააფორმებენ, ეს ჩრდილს მიაციენებს მათ სიყვარულს, რომელზეც ოჯახურ ურთიერთობებს აგებენ. შესაბამისად, უჭირთ ამ ნაბიჯის გადადგმა. სტატისტიკურ მონაცემებს თუ გადავხედავთ, 2010 წელს 7 ხელშეკრულება გაფორმებული, 2011 წელს — 13; 2012 წელს — 21 და წელს უკვე 8 ხელშეკრულებაა. ტენდენცია ზრდისკენ მიდის, მაგრამ ფართოდ ფეხი ვერ მოიკიდა, რადგან სამართლებრივი ნორმები არ არის მოქალაქეებამდე მისული, სამართლებრივი თვითშეგნება შედარებით დაბალია და არ აქვთ გაცნობიერებული ამ ხელშეკრულების დადებითი მხარეები. კერძოდ ის, თუ განაწილდება ურთიერთობებში და მოხდა ოჯახის დაშლა, ამ ხელშეკრულების არ-

სებობის შემთხვევაში ნაკლები ემოციების, ნაკლები მორალური ტრავმების ფონზე მიიღებენ სასურველ შედეგს თავიანთი ქონებრივი საკითხების მოსაგვარებლად. მთავარი არის არის ის, რომ განსხვავებული რეჟიმის დადგენა შეუძლიათ, ვიდრე კანონის იმპერატორული ნორმა ადგენს და დავების აღმოფხვრის პრევენციის საშუალებაც არის, რომ სასამართლოში აღარ წავიდნენ წყვილები და არ დახარჯონ ზედმეტი ემოციები.

— რამდენად იყენებენ ამ ხელშეკრულებას გაყრის შემდეგ, თუ გაქვთ ეს მონაცემი?

— 2002 წელს პირველად გაავფორმეს საქონიონი ხელშეკრულება და, სამწუხაროდ, ის წყვილი დაშორდა ერთმანეთს. შერეული ქორწინება იყო — ქართველსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეს შორის. შესაბამისად, როგორც იყო გათვალისწინებული ქონებრივი საკითხები კონტრაქტით, ისე მოხდა გაყოფა და დარეგისტრირება საჯარო რეესტრში.

— კონკრეტულად როგორია ამ ხელშეკრულების გაფორმებულ სუბიექტთა წრე?

— სუბიექტთა წრეს რაც შეეხება, უცხო ქვეყნის გამოცდილების საფუძველზეც თუ ვიმსჯელებთ, ძირითადად ამ ხელშეკრულებას აფორმებენ შეძლებული ოჯახები. ასევე ისეთი წყვილები, როცა ერთი ბევრად უფროსია მეორეზე, ან სხვა ქორწინებიდან რომელიმე განიცადა ქონებრივი კრახი და აღარ უნდა შემდგომ ქორწინება და დაუშვას ის შეცდომები. ან წინა ქორწინებიდან ჰყავს შვილები და მათი ქონებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით უნდა, რომ გააფორმოს ეს ხელშეკრულება. ან აქვს დიდი ბიზნესი, სამეცნიერო საზოგადოებები აქვთ შექმნილი, ბანკები აქვთ და ასე შემდეგ. ორივე მეუღლე პარიტეტის დაცვას, თანაბარ მდგომარეობაში არიან ამ ხელშეკრულების დროს და თუ რომელიმესთვის კაბალური ნორმა იქნა ჩადებული, სასამართლოს შეუძლია კაბალური ნორმა შეცვალოს. საგადადებულოა ხელშეკრულების სანორმარო წესით გაფორმება, ნოტარიუსი იძლევა განმარტებებს, უხსნის შედეგებს და ასევე შეუძლია სააღსრულებო ფურცელი გასცეს. თუ შეთანხმება დაირღვა, შეიძლება აღსრულებული იმით მოხდეს და სასამართლოში მაინც არ იყვნენ წასასვლელი. როგორც გითხარით, ჩვენი წყვილები მიიჩნევენ, რომ ეს ჩრდილს აყენებს მათ სიყვარულს და ეს ახევიანებთ უკან. ამ დროს ეკონომიკური სტაბილურობის, ოჯახში სულიერი სიმშვიდის საფუძველი არის ის, რომ ეს სადავო პრობლემები არ იყოს. როცა ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა გამოსწორდება, უფრო მეტი დაინტერესება იქნება საქონიონი ხელშეკრულების მიმართ.

ვაჟა ოთარაშვილი: „ოდიშარია საბიუჯეტო თანხებს ტენდენციურად განაპირობებს“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

მე ვუთხარი, რომ ეს არის სამართალდარღვევა. ჩემი ჟურნალი ბოლომდე აკმაყოფილებდა საკონკურსო მოთხოვნებს, თუმცა დინსტრი და სამინისტრო მაინც კანონიერად გვევაზე წავიდა. ოდითმანა საზოგადოებას თვალში წაცარს აყრის, თითქოს ტენდერს აცხადებს და ობიექტურად ხდება გამარჯვებულის გამოვლენა. ასე იქცეოდნენ ნაციონალების კულტურის მინისტრები გოკა გაბაშვილი და მხედრიონელი ნიკა რურუა, რომლებიც ვითომ დემოკრატიულ კონკურსს ატარებდნენ, სინამდვილეში კი თავიანთ ახლობლებს ურიგებდნენ ბიუჯეტის ფულს. დღეს რა გარიგებები დგას ამ კონკურსის უკან, ღმერთმა იცის.

— თქვენი აზრით, ერთპიროვნულად მიიღო კულტურის მინისტრმა ეს გადაწყვეტილება? თუ გაქვთ ინფორმაცია, რატომ გაიმარჯვეს კონკურსში იმ იურიდიულმა პირებმა, რომლებიც კონკურსის პირობებს ვერ აკმაყოფილებდნენ?

— ოდითმანა შექმნა რაღაც დარგობრივი საბჭოები, რომლებმაც უნდა შეარჩიონ საკონკურსო ფირმები, თუმცა ეს კომისიები უნდა იყოს კომპეტენტური და არა უსახური სახეებით გასცხული. ოდითმანა მუშებნება: საბჭომ მიიღო ეს გადაწყვეტილება, მე კახეთში ვიყავი. შენ რომ კახეთში დადიხარ, ძაო, საქვიფოდ და გინდა, საბჭოს შეხსოვო ხელი, თითქოს არაფერ შუაში ხარ, ასე არ შეიძლება. საკონკურსო პირობების თანახმად, ჟურნალის მკვეტი უნდა წარგვედგინა, მე კი პირდაპირ გამოცემული ნორმები წარვადგინე, რომელსაც თავისი წარმომადგენლები ჰყავს იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ავსტრიაში. იქიდან გზავნიდნენ ქართველები წერილებს და უცხოური მიმდინარე კულტუროლოგიურ პროცესებს განვიხილავდით.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ პოლიტიკური ნიშნით დაინაგრეთ თქვენ და თქვენი ჟურნალი?

ყვეტილება, მე კახეთში ვიყავი. შენ რომ კახეთში დადიხარ, ძაო, საქვიფოდ და გინდა, საბჭოს შეხსოვო ხელი, თითქოს არაფერ შუაში ხარ, ასე არ შეიძლება. საკონკურსო პირობების თანახმად, ჟურნალის მკვეტი უნდა წარგვედგინა, მე კი პირდაპირ გამოცემული ნორმები წარვადგინე, რომელსაც თავისი წარმომადგენლები ჰყავს იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, ავსტრიაში. იქიდან გზავნიდნენ ქართველები წერილებს და უცხოური მიმდინარე კულტუროლოგიურ პროცესებს განვიხილავდით.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ პოლიტიკური ნიშნით დაინაგრეთ თქვენ და თქვენი ჟურნალი?

— ვერ გეტყვით, რომელი ინტერესებით მოხდა ეს. მე ყოველთვის ოპოზიციონერი ვიყავი. არასოდეს მითანამშრომლია ნაციონალურ მოძრაობასთან, მაგრამ გეტყვით, რომ ის ადამიანები, რომლებიც ნაციონალურ მოძრაობას გუნდურად უკმევდნენ, ახლაც გახარებული არიან და ლალად გრძნობენ თავს ივანიშვილის ხელისუფლებაში. ამ ქვეყანაში არაფერი შეცვლილა კულტურის სფეროში. ისევ ძაბიჭობითა და ნაცნობ-მეგობრობით ხდება ამ სფეროში მართვა, დანიშვნები და საკითხების გადაწყვეტა.

— თქვენი აზრით, პრემიერი ბიძინა

„ჭიაკოპონობის“ ღამეს საბურავების ღანჯა 400-დან 600 ლარამდე დაჯარიმდება

გარემოს დაცვის სამინისტრო ე.წ. „ჭიაკოპონობის“ აღნიშვნასთან დაკავშირებით სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

„საქართველოში, ტრადიციულად, აღდგომის წინა ოთხშაბათს აღინიშნება ე.წ. „ჭიაკოპონობა“. ქალაქის ხელისუფლებას უბანში ინთება კოცონები და სანჯავ მასალად უმეტესად მეორადი საბურავები, ფოთლები, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენები გამოიყენება. ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად ურბანულ გარემოსდაცვით პრობლემას. მოსახლეობა ვერ აცნობიერებს, თუ რამდენად საზიანოა ჯანმრთელობისათვის მცენარეული და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ღია წესით წვა. დამაბინძურებლები, რომლებიც წარმოიქმნება წვის ნებისმიერი პროცესის დროს, უარყოფითად მოქმედებენ ადამიანის ჯანმრთელობასა და ეკოსისტემებზე.

განსაკუთრებით სახიფათოა რეზინის საბურავი, რომელიც უამრავ საშიშ ქიმიურ ნივთიერებას შეიცავს და მისი წვის შედეგად გამოთავისუფლდება მთელი რიგი მაღალტოქსიკური დამაბინძურებლები. არსებული მონაცემებით, 1 ტონა რეზინის საბურავის ღია წესით დანვითას ატმოსფეროში გამოიყოფა 270 გგ ჰგარტილი და 450 გგ სხვა დასხვა ტოქსიკური აირი. მცენარეული ნარჩენების, მათ შორის ფოთლების, წვა აბინძურებს როგორც ჰაერს, ისე ნიადაგს. 1 ტონა მცენარეული ნარჩენის ბოლი გამოყოფს 9 გგ მიკრონაწილას. ისინი ჰაერის ორთქლთან ურთიერთქმედებენ და წარმოქ-

მნიან ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ ეგრეთ წოდებულ „სმოგს“; ნიადაგის ზედა ფენაში კი მიმე მტკბულების შემცველობა 1,5-2 ჯერ იზრდება. ხშირად კოცონში ხვდება საყოფაცხოვრებო ნარჩენებიც. პოლიეთილენის პაკეტის, პლასტიკური ბოთლის და მსგავსი ნარჩენების წვის დროს წარმოიქმნება მთელი რიგი ტოქსინები, ხოლო ქლორთან ურთიერთქმედების შემთხვევაში ატმოსფეროში გამოიყოფა დიოქსინები. ყოველივე ეს იწვევს იმუნური სისტემის დათრგუნვას, ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევას, ღვიძლის დაზიანებას.

აგრეთვე, კავშირშია ონკოლოგიურ დაავადებებთან. ჭიაკოპონობა უმეტესად მოზარდების გახარობითა. ისინი აგრეთვე სანჯავ მასალას და შემდეგ დიდ დროს ატარებენ ცეცხლთან, რაც მათი ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიშია. ბავშვები, ფილტვის განსაკუთრებული აგებულებისა და უფრო ხშირი სუნთქვის გამო, ლებულობენ მავნე ნივთიერებების 6-ჯერ მეტ დოზას, ვიდრე ზრდასრული ადამიანები.

გვინდა, ხაზი გავუსვათ, რომ მეორადი საბურავების ღია წესით დანვა წარმოადგენს ადამინისტრაციულ სამართალდარღვევას და ჯარიმდება 400-დან 600 ლარამდე ოდენობით. მოვუწოდებთ მოქალაქეებს, გაითვალისწინონ ყოველივე ზემოაღნიშნული, ნუ მიაყენებენ ზიანს გარემოს და შეუქმნენ საფრთხეს საკუთარ და სხვის ჯანმრთელობას — ნათქვამია გარემოს დაცვის სამინისტროს განცხადებაში.

ნოესპრესი

როსტომი ნარკოკაპლიზაჟი ბრალდებით ოთხი ქართველი დააკავეს

როსტომი, ნარკოტიკების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი შვიდი ადამიანი დააკავეს. რუსული მედიის ინფორმაციით, ნარკოტიკების რეალიზაციაში მონაწილე ორი ორგანიზებული ეთნიკური ჯგუფის დაკავების ოპერაციაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

დაკავებულთა შორის ოთხი საქართველოს და სამი აზერბაიჯანის მოქალაქეა. კრიმინალურ ჯგუფში შედიოდნენ როგორც წარსულში არაერთხელ ნასამართლევი, ასევე ახალბედა დამნაშავეები. ამასთანავე, საერთო შეკრებებში მონაწილეობას ეგრეთ წოდებული „სპონსორებიც“ იღებდნენ, რომლებიც ნარკოტიკების შეძენას და შემდეგ მათ სხვა რეგიონებში და რესპუბლიკებში გავრცელებას აფინანსებდნენ.

დაკავების დროს, პოლიციელებმა ყველა ეჭვმიტანილს 3-დან 8 გრამამდე პეროინი აღმოუჩინეს.

ნოესპრესი



სოფო გელოვანი და ნოდოკო ტატიშვილი შპელათში 5 მაისს გაუჩინდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლად ამ კონკურსში მონაწილეობა სოფო ხალვაშა მიიღო, მის შემდეგ კი კონკურსში საკუთარი შესაძლებლობები სცადეს სოფო ნიჟარაძემ, დიანა ლურსაგაძემ, ჯგუფმა „ელ-დრანმა“, ანრი ჯოხაძემ, ხოლო ჯგუფმა „სტეფანე და 3 გოგო“ პროტესტის ნიშნად მოსკოვში გამართულ კონკურსში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ამის მიზეზი მათ მიერ შესრულებული სიმღერა „აუტინ დისკო“ გახდა. ორგანიზატორებმა ქართველ კონკურსანტებს ტექსტის შეცვლა მოსთხოვეს და ეს მოთხოვნა, სიმღერის სახელწოდებიდან გამომდინარე, პოლიტიკური მოტივით ახსნეს. წელს საზოგადოებრივმა მასშტაბებმა არ ჩაატარა შიდაშესარჩევი კონკურსი და პირველად გამოიყენა უფლება, თვითონ დასახელებინა ევროფესტივალის კონკურსანტები. სოლომონდერლები სოფო გელოვანი და ნოდოკო ტატიშვილი ამჯერად დღეებში დაწყებულ და შედეგი კომპოზიტორის სიმღერაზე შეასრულეს.

EUROVISION

კონკურსანტი. აღსანიშნავია ისიც, რომ 16 მაისს ორივე ქვეყანა ერთად ვართ ნახევარფინალში და, იმედი მაქვს, ერთმანეთს უგულშემატიკვრებენ. მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ წელს საქართველოს კონკურსანტებს შვედეთში დაგეგმილ ევროვიზიაზე წარადგენს კომპანია „ჯეოსელი“ და მას აქვს კიდევ ახალი გათამაშებები. ვისაც აქვს სურვილი, შვედეთში გაემგზავროს, „ფეისბუქში“ „ჯეოსელის“ გვერდს ენვიოს და იქ ბევრი სიახლე დახვდებათ. ქართველ მონაწილეებს შვედეთში საქართველოს საელჩო მოუწყობს მიღებას 14 მაისს, ნახევარფინალამდე ორი დღით ადრე. სოფო და ნოდო შეხვდებიან ქართულ დიასპორას შვედეთში და ასევე შეხვდებიან თავიანთ ფანებს, რომლებიც ძალიან ბევრი ჰყავთ, როგორც აღმოჩნდა, პოლანდიაში, როცა დაახლოებით 5.000-მდე ადამიანი მღეროდა მათ სიმღერას, როცა ვიყავით წლეწიანდელი ევროვიზიის მონაწილე კონკურსანტთა შეხვედრაზე.

— როგორ მიდის ჩვენი კონკურსანტების მზადების პროცესი?

— რაც შეეხება მზადებას, ფუნქციები ყველას გვაქვს გადანიშნებული. მთავარია, ამათ იმდენი და არ ინერვიულონ, ნერვიულობით მე და თიკო ვინერვიულებთ, იმიტომ რომ სამზადისი დასრულებულია, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში იქნება მათი კოსტიუმები, სცენოგრაფიაც დასრულებულია და უკვე 5 მაისს აღდგომის დღეს გამთენიისას გავფრინდებით შვედეთში. პირველი რეპეტიცია გვექნება 9 მაისს, მეორე რეპეტიციას უკვე დაესწრებიან ჟურნალისტები და ევროვიზიის ფანები. ჩვენ და ზურაბიაჯანი ერთ ტურში ვართ, ორივე ქვეყანა გამოვდივართ 16 მაისს, ამიტომ სხვა გზა არ გვაქვს, ერთმანეთს უნდა ვუგულშემატიკვროთ.

ფარიდ ბაბაშვილი, მომღერალი, აზერბაიჯანის წარმომადგენელი:

— ძალიან სასიამოვნო დუეტი გყავთ, ჩვენს აზერბაიჯანულ დუეტს მაგონებს — ელდარსა და ნიკის. ევროვიზია საკმაოდ სერიოზული კონკურსია, მოსამზადებელი პერიოდი საკმაოდ რთულია, კარგად მესმის რაზე მივდივარ და ისიც ვიცი, რომ მექნება რთული გრაფიკი. უკვე ყველაფერი დასრულებული მაქვს და ველოდები, როდის გავმგზავრებით შვედეთში, რომ ევროვიზიის ნახევარფინალზე ვიმღერო. პროფესიით მომღერალი არ ვარ, მაგრამ ბავშვობიდან ვმღერი. ბებიამ დედის მხრიდან ქართველი მყავს და ყოველთვის მიმღეროდა ქართულ სიმღერებს, ბებიამ მასწავლა ქართული სიმღერები. მან აზერბაიჯანულიც კარგად იცის. მამა სპორტსმენი მყავს და სპორტიც მიყვარს, ასეთი შერეული გამოვედი — სპორტისა და სიმღერის დიდი მოყვარული ვარ. ბავშვობიდან სტივ უანდერის ფანი ვარ და ყოველთვის ვმღეროდი მის სიმღერებს.

სოფო გელოვანი, მომღერალი:

— ჩვენი განწყობა კარგია, რაც უფრო ახლოვდება 5 რიცხვი, ჩვენი გამგზავრების დღე, დღეცა უფრო და უფრო მეტია. ვფიქრობ, მზად ვართ ყველაფრისთვის, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, ახლა უკვე 16 მაისს ველოდებით, მეორე ნახევარფინალში ვმღერით და, მთავარია, ამ დღეს რა იქნება.

ნოდოკო ტატიშვილი, მომღერალი:

— რომ გითხრათ, ენერგიულობა და ღამეები არ გეძინავს-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. არ გვიანდა, რომ ვინერვიულობ, მაგრამ ძალიან ველავთ, როდესაც ევროვიზია თავისი მასშტაბებიდან საკმაოდ საბასუხისმგებლოა და მოიცავს მთელ მსოფლიოს. ბოლოს ყველაზე მეტად ეს მიმღერება რაღაცნაირად დაამშვიდა ჩვენმა პატრიარქმა. ვიყავით მის უწმინდესობასთან, ავიღეთ მისგან ლოცვა-კურთხევა და უფრო მოვეშვიეთ, გაგძლიერდით და ცდილობთ, ნაკლებად ვივლყოთ. პოლანდიაში რომ იყო კონკურსანტი ქვეყნების გაცნობის საღამო, იქ ძალიან ბევრი ადამიანი მღეროდა ჩვენს სიმღერას და ეს იყო ძალიან მაგარი და დაუფინყარი. იმედია, შვედეთშიც ასე იქნება.

ეკა ირემაშვილი

ნიგინის გამოცხადება და გამავრცელებელთა საინფორმაციო შეხვედრა ბაბარტა



ეკა ირემაშვილი

**საქართველოს წიგნის
გამომცემელთა და
გამავრცელებელთა
ასოციაცია მსოფლიოში
ინტელექტუალური
საკუთრების მსოფლიო დღის
აღნიშვნას შეუერთდა,
რომელიც მსოფლიო
ინტელექტუალური
უფლებების ორგანიზაციის
მიერ 1970 წელს დაარსდა.**

როგორც წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ქეთევან ჯაყელმა განაცხადა, ამ თარიღის აღნიშვნის მიზანია, ხელი შეუწყოს დისკუსიას ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობაზე, როგორც ინოვაციისა და შემოქმედების ხელშეწყობისთვის აუცილებელ ფაქტორზე.

— ამ დღესთან დაკავშირებით ლადო გუდიაშვილის სკვერში სახელმძღვანელოების გამომცემლებმა ავტორებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შეხვედრის მთავარი მიზანი საზოგადოებისთვის იმის ჩვენება იყო, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ერთ-ერთი ძირითადი ევროპული ფასეულობაა და რომ ქართველი გამომცემლები და ავტორები ამ საკითხში სოლიდარულნი არიან, — გა-

ნაცხადა ქეთევან ჯაყელმა.

შეხვედრამდე ერთი დღით ადრე კი წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ „ქორთი-არდ მარიოტში“ შეხვედრა მოაწყო, სადაც სახელმძღვანელოების ქართველი გამომცემლები დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრის სამუშაო ენა ინგლისური იყო.

— ამ შეხვედრაზე საუბარი შეეხო საგამომცემლო სექტორში შექმნილ კრიტიკულ ვითარებას, რომელიც უკავშირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებას სახელმძღვანელოების უფასო დისტრიბუციის თაობაზე. ეს გადაწყვეტილება არღვევს გამომცემელთა ინტელექტუალური საკუთრების უფლებას და საფრთხეს უქმნის ზოგადად საგამომცემლო საქმიანობის სამომავლო განვითარებას. შესაბამისად, ამ შეხვედრაზე გამომცემლებმა მოუწოდეს საერთაშორისო ორგანიზაციებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, — აღნიშნა ქეთევან ჯაყელმა. მისივე თქმით, „ქორთი-არდ მარიოტში“ გამართულ შეხვედრაზე ქართველმა გამომცემლებმა თავიანთი მოსაზრებები დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გაუზიარეს, ხოლო მათგან საჭირო რეკომენდაციები მიიღეს.

განცხადებები

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, ფიქილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ლეიქმის განმკურნალება (პაციენტიდან ფარულადაც), შედეგი 100%-იანია. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდეთ 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მაღის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ქანი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის განმკურნალება ქოლესტერინისაგან, წნეგების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებადებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადამავრებაზეც), შარდვის მოშლა-გახსნის, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქვილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკური) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გათავაზობს სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯვასებელ, სარელაქსაციო, მოკლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, სპირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასტერეოტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩანერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების ნევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სხინიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდებულ, აგაძის 67-ში შეგიძლიათ ბაბის, მატყლის გაჩეხა საბან-ლიბების განახლების მიზნით. საბან-ლიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა,

წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქინი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, ფიქილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის განმკურნალება მცენარეული პროდუქტებით, შედეგები 100%-იანი. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქინი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, სპირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქინი მგეი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზის სისტემის მოწესრიგება, ლეიქმის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქინი მგეი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის განმკურნალება, იმუნოტიტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94, 218-46-08 ექიმი ქინი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემების მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსარტროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33, 218-46-08 ექიმი ქინი ნინო.

● ნანა ქიბრონაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგისხნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: ავრეზისას, აკვიატებას, ექვი-ანობას, თვით-მკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიატებას, დაძაბულობას, შემოქილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნალევს, მეღვინეობას. მისი: ნერეთის 57, II სად., II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით შეღავათიან ფასებში. ტელ: 598 24-40-90.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.


ფოთისა და სოხის მიტროპოლიტ გრიგოლის ქარტოზით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს სოხის მონასტრის უკველასი ტაძრის საკანტაპრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკონსტრუქციები:

ფოთისა და სოხის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
სოხი, სოფ. ნოჯიხი
ლეთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ სოხის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — სოხის მონასტერი.

სოხის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუშენია ანა (მუსხლიანი)



ოთხეული ქუთაისა შაჰსო

ხუთაჲი - ქუთაისი 67:74
(17:19; 21:21; 15:18; 14:16)

მეოთხე ნახევარფინალისტის საგზური „ქუთაისმა“ მოიპოვა. დავით უსტიაშვილის გუნდმა მეოთხედფინალური სერიის საშინაო მარცხით დაწყების შემდეგ რუსთავენი ზედიზედ 2 მატჩი მოიგო და 3-ნაღიან არსებობის მანძილზე მესამედ გავიდა ნახევარფინალში.

ქუთაისელებმა ამ წარმატებას უდიდესი ბრძოლისა და თავდადების ხარჯზე მიაღწიეს. როცა სერიას 0:1 აგებდნენ, მეორე მატჩის ბოლო წუთზე 6 ქულით ჩამორჩებოდნენ და იმ მომენტში ალბათ ვერავინ იტყოდა, რომ ქუთაისელები სერიაში გაიმარჯვებდნენ. უსტიაშვილის გუნდმა სერიის მეორე მატჩშიც დაიძვრინა თავი და მოიგო, ხოლო გადამწყვეტ მატჩში „რუსთავენი“ მისავე მოედანზე მეორედაც დაამარცხა.

მატჩის ფინალური ნაწილი ისეთი დაძაბული არ ყოფილა, როგორც წინა მატჩების, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ იმერლებმა იოლი გამარჯვება მოიპოვეს. მართალია, ქუთაისელები თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში ლიდერობდნენ, მაგრამ მასპინძლები მეტოქეს წინ არ უშვებდნენ და ბოლო მეოთხედამდე სტუმართა ლიდერობა 2-4 ქულის ფარგლებში მერყეობდა.

პირველ პერიოდში რუსთაველთა ამერიკელმა გამთამაშებელმა ნეით ბოუიმ 3 სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ შორი სროლებში ქუთაისელებმა უფრო მეტი სიზუსტე გამოავლინეს. რევაზ დიდიამ და გიორგი ბარბაქაძე შორი სამქულიანები ჩააგდეს, ფარქვეშ რიჩარდმათაშვილიც ამოქმედდა და პირველი მეოთხედი სტუმრებმა 19:17 მოიგეს.

მეორე მეოთხედი ფრედ დასრულდა, ხოლო მესამის ბოლოში ქუთაისელებმა უკვე სოლიდური სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს. უსტიაშვილის გუნდი დაცვაში საიმედოდ იდგა, შეტევაში კი სწრაფი გარღვევებისა და შორი სროლების მიმად იყო. ბოლო პერიოდი ქუთაისელთა 5-ქულიანი ლიდერობით განახლდა. მალე ქუთაისელთა უპირატესობამ 8 ქულას მიაღწია, თუმცა ბოლო წუთებში რუსთაველებმა შტურმი მოაწყვეს, რასაც ჩამორჩენის 1 ქულამდე შემცირება მოჰყვა – 67:68 დასრულებამდე 1 წუთით ადრე.

წინა მატჩის მსგავსად, ქუთაისელებმა ბოლო წუთზე დიდებულად ითამაშეს. რიჩარდმათაშვილმა საფინალო სირენამდე 36 წამით ადრე

სტუმრები 3 ქულით დაანინაურა, ხოლო დაცვაში ფარქვეშ შესულ კაილ ნესლონს სუფთად დაუფარა და რუსთაველთა ჯარიმის შემდეგ 1 საჯარიმოც ჩააგდო – 71:67 დასრულებამდე 19 წამით ადრე. რუსთაველებმა შეტევა წამოიწყეს, ქუთაისელები კი ამერიკელ ბოიზე დაჯარიმდნენ, რომელმაც ორივე სროლა ააცილა და მატჩის ბედიც აქ გადაწყდა – ქუთაისელებმა საბოლოოდ 74:67 გაიმარჯვეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

გამარჯვებულებს 22 ქულით და 14 მოხსნით რიჩარდმათაშვილმა ულიდერა, ხოლო მძებმა – დავით და გიორგი ბარბაქაძეებმა, ასევე რევაზ დიდიამ 14-14 ქულა მიითვალეს. გამორჩეულად ითამაშა იმერელთა აზერბაიჯანელმა უკანახაზელმა ზაურ ფაშაევმა, რომელმაც 10 ქულა და 12 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. აღსანიშნავია, რომ ქუთაისელთაგან ქულები მხოლოდ ამ 5-მა კალათბურთელმა მიითვალა.

რუსთაველთა შორის 28 ქულა დაუგროვდა ბოუის, 13 – ნელსონს და 12 – ცეკვაას.

ნახევარფინალის ორივე წყვილი ცნობილია: შსს აკადემია-ქუთაისი და ოლიმპი-არმია. სერიები 8 მაისიდან დაიწყება.

მატჩის შემდეგ:
დავით უსტიაშვილი, ქუთაისის მთავარი მწვრთნელი:

– ძალიან დაძაბული სერია იყო. სამივე მატჩის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა. გადამწყვეტ მატჩს მობილიზებული შევხვდით და თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში თამაშს ვაკონტროლებდით. საბოლოოდ დამსახურებულია გავიმარჯვეთ და ნახევარფინალის მეტოქეზე ფიქრს დღეიდან ვინწყებთ.

ზაურ აკიშაძე, ქუთაისის უკანახაზელი:

– ძალიან დიდი მადლობა ქუთაისელ ქომაგებს, რომლებიც რუსთავენი ჩამოგვყვენ. საინტერესო და დაძაბული სერია გამოვიდა და მიხარია, რომ საბოლოოდ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ეს დიდი ბრძოლისა და თავდადების შედეგია.

იოვან სტაფანოვი, რუსთავეის ფორმადი:

– დამნაშავეები ვართ, რომ დანაშაულების შემდეგ სერიაში დავმარცხდით. ამაში დამნაშავე არ არიან მსაჯეები, მწვრთნელები, გულშემატკივრები. ყველაზე სარკეში ჩაეხედით და დამნაშავე საკუთარ თავში ვეძებთ. ვულოცავ მეტოქეს დამსახურებულ გამარჯვებას.

შედეგები

19.სარაგოსა	33	8	6	19	32:53	30
20.ბალთიკა	33	7	7	19	36:67	28
გეიმანია. მე-2 ზენეცლია						
კოტბუსი-კაიზერი	4:2					
საფინანსო. მე-2 ლიგა						
სედანი-მონაკო	1:1					
პრემიერლიგა. 1 ლიგა						
მარიტიმ-უ-ბენფიკა	1:2					
ხუთი. ჰეიმეილიგა						
ალანია-კრასნოდარი	2:3					
ჩეხეთი. გამბიხნელიგა						
ბრნო-ბანიკი	2:1					
პრემიერლიგა. 2 ლიგა						
იაგელონია-ლუბი	0:1					
დანი. სუპერლიგა						
მიდტილანდი-ოლბორგი	2:3					
ფინეთი. ვეიკილიგა						
ინტერი-იარო	1:0					
პიკი-მიუზა	2:0					
იხანენია. ჰეიმეილიგა						
ბრეი-კორკი	1:2					
სტ.პატრიკი-ბოჰემიანი	1:1					
აიგენი. ჰეიმეილიგა						
ბელგრადო-ოლ ბოიზი	0:1					
ლანუსი-რაფაელა	1:1					
საქსონი. 1 ლიგა						
ბარსელონი-ჩეიკაო						
ბრუკლინი-ჩეიკაო	110:91					
სერბის ანგარიში	2:3					
ატილანტა-ინდიანა	102:91					
სერბის ანგარიში	2:2					
პიუსტონი-ოკლაჰომა	105:103					
სერბის ანგარიში	1:2					
მთავარი მსხვილი ჟიურჯილიანა						

ოქროს ბიჭები თბილისში დაბრუნდნენ

უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში დასრულებული ევროპის ჩემპიონატის ტრიუმფატორი – საქართველოს ძიუდოისტა ეროვნული ნაკრები – თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გაუშინ ჩამოფრინდა.

ქართველ ძიუდოისტებს აეროპორტში გულშემატკივრებთან და ჟურნალისტებთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი მოადგილე თამაზ თევზაძესთან და სპორტის დეპარტამენტის უფროს ირაკლი დოლაბერიძესთან ერთად დახვდა. აეროპორტში ასევე მივიდნენ ოლიმპიური ჩემპიონები – შოთა ხაბარელი, ზურაბ ზვიდაური, ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენლები და ვეტერანი თუ მოქმედი სპორტსმენები.

ევროპის ჩემპიონატზე ქართველმა ძიუდოისტებმა ინდივიდუალურ ჩათვლაში ჯამში 3 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რაც საუკეთესო შედეგია ეროვნული ნაკრების არსებობის მანძილზე. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონები ამირან პაპინაშვილი (60 კგ.) ლაშა შავდათაშვილი (66 კგ.) და ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ.) გახდნენ, ვერცხლის მედლები მოიპოვეს ნუგზარ ტატალაშვილმა (73 კგ.), ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ.) და ადამ ოქრუაშვილმა (მძიმე), ხოლო ბრინჯაოს მედლის მფლობელი კი ზებედა რეხვიაშვილი (73 კგ.) გახდა.

ამ შედეგით საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გავიდა. საქართველოს ნაკრებმა ჩემპიონობა მოიპოვა გუნდურ დაპირისპირებაშიც, რომლის ფინალში, ქართველმა ძიუდოისტებმა რუსეთის ეროვნული ნაკრები 4:1 დაამარცხეს.

ფინალურ შეხვედრამდე ქართველებმა პოლანდიისა და ევროპის ჩემპიონატის მასპინძელი – უნგრეთის

ნაკრებები დაამარცხეს. ევროპის ჩემპიონატზე 44 ქვეყნის 500-მდე ძიუდოისტი მონაწილეობდა.

დავით ძეგლაშვილი, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი:

– ძნელია სიტყვებით იმ სიხარულის გადმოცემა, რაც ბუდაპეშტში განვიცადეთ. ნაკრები სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი ტურნირისთვის ბრწყინვალედ იყო მომზადებული და შედეგიც სახეზეა. განსაკუთრებით შთაბეჭდავი ტურნირის ბოლო დღე გამოდგა –



ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ჩვენი გუნდი მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა და ამის გამო ცოტა ზედმეტზე ნოლას განვიცადით, მაგრამ ბიჭებმა მორიგი ტიტულის მოსაგებად ყველაფერი გაიღეს.

ირაკლი უზნაძე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

– ნაკრები ევროპის ჩემპიონატს კარგად მომზადებული შეხვდა და ბიჭებმა მშვენივრად იჩიდავეს, საერთო შედეგითაც, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, მაგრამ მაინც იყო ეპიზოდები, რომლებზეც გული მწყდება. მაგალითად, სულ ადვილად შეიძლება, 73 ან 81 კილოგრამებში ქართული ფინალი ყოფილიყო. მადლობა ნაკრების ყველა წევრს, ძიუდოს ფედერაციისა და ქართული სპორტის ხელმძღვანელებს.

უეინ რუნი: „ყოველთვის ვსდილობ, ახალგაზრდებს გვირდები დაუდგა“



„მანჩესტერ იუნაიტედმა“ მიმდინარე პრემიერლიგის დასრულებამდე გაინადრა პირველი ადგილი. ეს მანჩესტერელთა მე-20 საჩემპიონო ტიტულია, რაც ინგლისისთვის სარეკორდო მაჩვენებელია. აქედან მეოთხედი მის ფორვარდ უეინ რუნის აქვს მოპოვებული.

ერთია, რუნის წელს ტრავმების გამო ბევრი მატჩის გამოტოვება მოუხდა, თუმცა კლუბის ერთ-ერთ ლიდერად ისევ რჩება.

რუნისთან ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

რა შეფასებას მისცემდით მიმდინარე სეზონს?

– განსაკუთრებით საინტერესო სეზონის პირველი ნაწილი იყო. ამ მონაკვეთში ბევრი „ქამბეკები“ (ჩამორჩენის შემდეგ მოგებული მატჩები) დაგვიგროვდა და უკომპრომისო ბრძოლებიც ბლომად იყო. მთლიანობაში კი 2012-13 საფეხბურთო წელიწადს დადებითად შევაფასებდი. პრაქტიკულად ჩემპიონატის ყველა მატჩი დაძაბულად მიმდინარეობდა და ბევრი მოულოდნელი შედეგიც დაფიქსირდა. ეს კი, მაყურებელს და გულშემატკივარს ძალიან მოსწონს. ჩვენი ჩემპიონობა კი იმით აიხსნება, რომ „მანჩესტერი“ პრემიერლიგის ყველაზე სტაბილური გუნდია. თუკი სხვები რამდენიმე მატჩს მოიგებდნენ და შემდეგ წარუმატებელ სერიას მიაყოლებდნენ, ჩვენ უმეტესობა მოვიგეთ. ეს გუნდის სტაბილურობას უსვამს ხაზს. ამასთან, მიღწეულს არ დავჯერდებით და წინსვლისთვის ვიზრუნებთ.

პირადად თქვენთვის რით იყო გამორჩეული ეს სეზონი?

– სამწუხაროდ, ტრავმებმა ხელი შემიშალეს. ამის გამო სეზონი ჩემთვის სრულყოფილი არ გამოდგა, რაზეც გული მწყდება. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი ამოცანა შევასრულეთ და კვლავ ჩემპიონები ვართ, ჩემპიონატის ბოლომდე მაინც მოტივირებული ვიყავი და გუნდს ახალი წარმატებების მიღწევაში დავეხმარე.

სერ ალექს ფერგიუსონმა რამდენიმე პოზიციაზე გამოცვლით, მათ შორის შემტევი ცენტრალური ნახევარმცველად, შეტევის ფლანგზე და ერთადერთ თავდამსხმელად. ამგვარი როტაციებით კმაყოფილი ხართ?

– ყოველგვარი სიახლე გამოცდილებისთვის არის სასარგებლო, ამიტომაც კმაყოფილი ვარ. ძირითადად ნახევარდაცვის შეკვრა მევალებოდა თავდამსხმელებთან და შეტევებზე ვიყავი ორიენტირებული. ეს სხვადასხვა თვისე-

ბის განვითარებას უწყობს ხელს. მზად ვარ, იმ პოზიციაზე ვითამაშო, რომელზეც მწვრთნელი მიმითითებს და გუნდისთვის სარგებლობის მოტანას შევძლებ.

– წინ ოფიციალურ დონეზე 400 მატჩის ჩატარება და 200 გოლის გატანა მნიშვნელოვანი ზღურბლია.

– განსაკუთრებით 200 გოლთან მიახლოება მახარებს. იმედი, ამას მიმდინარე სეზონის დამთავრებამდე მოვახერხებ.

– როგორ გგონიათ, პარტნიორებისთვის ავტორიტეტული ადამიანი ხართ?

– ყოველთვის ცდილობ, ახალგაზრდებს გვერდით დავუდგა და ის გამოცდილება გავუზიარო, რაც წლების განმავლობაში დამიგროვდა. კარგად მახსოვს, კარიერის დასაწყისში რა დახმარებას მიწვედნენ ასაკოვანი მოთამაშეები, ამიტომაც მსურს, ანალოგიური მეც გავაკეთო. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ჯერ ბევრი რამ არ იციან და მინდა, მათ დახმარების ხელი გავუწოდო. დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ ისინი შემდგომ თაობას დაეხმარებიან.

– სეზონის წინ „არსენალიდან“ გადმოსულმა რობინ ვან პერსიმ რა შთაბეჭდილება დატოვა?

– ბრწყინვალე ფეხბურთელია. მან ბევრი გოლი გაიტანა და ჩვენ გუნდთან ადაპტაციის პროცესიც სწრაფად გაიარა. ვან პერსისთან პარტნიორობა ძალიან მსიამოვნებს. იგი კარგად იჭერს ბურთს, სწრაფად გადაადგილდება და მეტოქეთა მცველთათვის საშიშია. როდესაც ვან პერსიმ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ კონტრაქტი გააფორმა, ყველა-ნი კმაყოფილი ვიყავით, რადგანაც ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ პოლანდიელი ჩვენ თამაშს გააძლიერებდა. ასეც მოხდა. რობინი კარგად შეერწყა კოლექტივს – ჩვენთან ხომ ნებისმიერ ახალწვეულს გულდასა და იტყვენ და ვან პერსიც ახალი გამონაკლისი. მან ყველასთან კარგი ურთიერთობა დაამყარა.

– დღევანდელი „მანჩესტერ იუნაიტედი“ გამოცდილი და ახალგაზრდა მოთამაშეებისგან შემდგარი გუნდია. როგორ გგონიათ, რა სახეს მიიღებს თქვენი გუნდის თამაში მას შემდეგ, რაც კლუბს ევტერანები დატოვებენ?

– წლევანდელი წარმატება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ეს საჩემპიონო ტიტული პირველი ტრიუმფების საწინდარი გახდება. როგორც კი ახალგაზრდები თავიანთ პირველ ოქროს მედალს მოიგებენ, სამომავლოდაც ახალი წარმატებების ჟინი გაუჩნდებათ.

რონალდო მანჩესტერსა და კსა-ს მოუხდათ

მოარული ხმები იმის შესახებ, რომ ალექს ფერგიუსონი ეცდება, კრიშტიანუ რონალდუ „ოლდ ტრაფორდზე“ დააბრუნოს, შესაძლოა, რეალობად იქცეს. მანჩესტერულ გუნდს ამაში დახმარებას კლუბის სპონსორებიც დაჰპირდნენ. „ნაიკისთან“ მოლაპარაკებების შემდეგ სპორტული ეკიპირების მწარმოებელი გიგანტი მზადია, ამ გარიგებაში ფინანსური მონაწილეობა მიიღოს.

გარდა ამისა, მანჩესტერელები

მზად არიან, რონალდუს დასაბრუნებლად თავიანთი ბაზის სახელწოდების უფლების გაყიდვისგან მიღებული თანხებიდანაც დაიხარჯონ.

ამავე დროს, პორტუგალიელის გადაბირებას ფრანგული მსუ-ც შეეცდება, რომლის ყატარელი მფლობელმა მზად არიან, რონალდუში 100 მლნ-ც უპრობლემოდ გადაიხადონ. რაც შეეხება „წითელი ეშმაკების“ შეთავაზებას, ისინი მზად არიან, „რეალს“, 65 მლნ ევროსთან ერთად, კი-

დევე ერთი პორტუგალიელი ნაწიცი დაუთმონ. თავად რონალდუს ხელფასი კი კვირაში 250.000 გირვანქა სტერლინგ იქნება.

თავის მხრივ, პორტუგალიელი არ აპირებს „რეალთან“ კონტრაქტის გაგრძელებას, „სამეფო კლუბის“ მესვეურები კი დიდი ალბათობით უარს არ იტყვიან ასეთ სარფიან შეთავაზებებზე, ვინაიდან ყოველ წელს რონალდუს დასი სულ უფრო და უფრო შემცირდება.



გიორგი აფციაური: „კომედი შოუ“ სეზონი!



ეკა ირემაშვილი

„კომედი შოუ“ ყოფილმა მსახიობმა, გიორგი აფციაურმა, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებაში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მან ჟურნალისტებთან პრექტიდან წამოსვლის მიზეზებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ პროფკავშირების ახალგაზრდულ ფრთას უნელმძღვანელებს.

როგორც მსახიობმა აღნიშნა, ის სიმართლის დამაღვას არ ამირებს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ჟურნალისტები ვანო ჯავახიშვილის პირისპირ დატოვოს.

მისივე თქმით, პირადად ვანო ჯავახიშვილმა არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პაროდიის გაკეთება აუკრძალა, რის შემდეგაც ახალი გადაცემა „თქვენი შოუ“ ჩააბარეს და სარედაქციო დამოუკიდებლობას დააპირდნენ, თუმცა „თქვენი შოუ“ ეთერში მხოლოდ რამდენიმე თვე გავდა.

გიორგი აფციაური:

– სიმართლე გითხრათ, საუბარი მიჭირს, იმდენად სამარცხვინო თემაზე მიწევს დღეს თქვენთან ლაპარაკი. ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. უთანხმოება დაიწყო იმიტომ, რომ ვანო ჯავახიშვილმა პირად საუბარში მიიხრა, შეგახსენებთ, რომ ეს გახლდათ ჩემი საავტორო პროექტი, რომ პრეზიდენტის პაროდის ტაბუ დაედო და პოლიტიკური იუმორი არ უნდა მეკეთებინა. მეორე დღეს ალექო მალხაზიშვილი მოვიდა ჩემს სახლთან, მინდა გითხრათ, რომ ჩემი სახლიდან ალექო მალხაზიშვილის სახლამდე საქაო მანძილია, ამიტომ, რომ არა სერიოზული საქმე, ტელეფონითაც შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო რამე, მაგრამ მან გადაწყვიტა, რომ ჩემს სახლთან მოსულიყო და მითხრა, რომ ამ კითხვაზე, თუ კითხვები გაჩნდებოდა საზოგადოების მხრიდან, უნდა მეთქვა, რომ ვანო ჯავახიშვილმა ისუბრა. შემდეგ მე ჩემი გადაცემით გავემიჯნე ამ ჯგუფს. ისე გამოვიდა, რომ ვანო ჯავახიშვილმა ტაბუ დამადლო. ვანო ამ საქმეში მართო არ ყოფილა, მას ზურგს უმაგრებდნენ ავლბერელი ანუ ალექო მალხაზიშვილი, უხამსი ვართე-ავთო მარგველაშვილი და შედარებით სათუთი და ნაზი ოთო ლომთაძე. ამის შემდეგ „ვანოს შოუში“, ფაქტობრივად, აღარ ვჩანდი, „კომედი შოუზე“ მიმა ანდლულაძემ განმიცხადა, რომ პრეზიდენტის პაროდია მოძველდა და ის უნდა ამოგვეღო ან არ უნდა გავგვეკეთებინა. ეს ხდება არჩევნებამდე რაღაც დროით ადრე, პრეზიდენტის პაროდია მოძველდა. ამ განცხადებით ვანო ჯავახიშვილის ან რომელიმეს დასჯა არ მინდა, უბრალოდ, შევეცდები, საზოგადოების ყურამდე მივიტანო სიმართლე. შეიძლება, ეს სიმართლე ვიღაცას პრობლემას უქმნიდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერავის ვერაფერს ვუშველი. ჩემი მიზანია თქვენთან, ჟურნალისტებთან ვანო ჯავახიშვილის მართო დატოვება.

როგორც პაროდისტმა აღნიშნა, მას აქვს სწორი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებითაც, თუ რატომ გაუშვეს სამსახურიდან ფაქო, ამიკო და ნიკა გრიგოლია.

– იმავე წელს წამყვანობიდან მოხსნილი იყვნენ და სამსახურში ისეთი პირობები შეუქმნეს, რომ გააქციეს პირდაპირ ამირან ჩოხრაძე და ლევან გოგორელიანი, იგივე ამიკო და ფაქო. თუ რამე სხვა ვერსია გაქვთ გაგებული ამ ადამიანების შესახებ, რატომ დატოვეს სამსახური, ყველაფერი არის სიცრუე. ასევე ნიკა გრიგოლია, ალბათ, ყველასთვის საყვარელი პერსონაჟი და „კომედი შოუს“ წამყვანი მსახიობი, დაიბარეს და უმიზეზოდ გაუშვეს სამსახურიდან, თან ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ანგარიშსწორებას. ყურადღება მიაქცევთ, ფიზიკურად გაუსწორდნენ ნიკა გრიგოლიას,

მარჯანიშვილის თეატრში პრემიერაა



ეკა ირემაშვილი

მარჯანიშვილის თეატრი პრემიერისთვის ემზადება. პირველ მაისს თეატრის მცირე სცენაზე წარმოდგენილი იქნება სპექტაკლი „სილამაზის დედოფალი“, რომელიც რეჟისორმა გურამ ვაშაკიძემ მარტინ მაკდონალდის ნაწარმოების მიხედვით დადგა. ერთმოქმედებიანი წარმოდგენისთვის პიესა შორენა შამანაძემ თარგმნა, სპექტაკლის დამდგმელი მხატვარი ლევან წულაძეა, კოსტიუმების მხატვარი – ლევან ჭიჭინაძე, დამდგმელი ქორეოგრაფი – გია მარღანიძე, მუსიკალური გამგეობის მეთაური – ზურაბ გაგლოშვილი, რეჟისორის თანაშემწე – ნათელა შალიკაშვილი.

სპექტაკლში სულ ოთხი მსახიობია დაკავებული, თამარ ბუხნიკაშვილი (მორინ ფოლანი), ნინო გომარტელი (მეგ ფოლანი), ირაკლი ჩოლოყაშვილი (პატო დული) და პაატა პაპუაშვილი (რეი დული).

– სიყვარული და სიძულვილი ძემბი გახდნენ, უერთმანეთოდ ერთსაც დაუპარგავს სახე და მეორესაც, ამგვარად, სადღაც ჩაკარგულგმა, მარტოსულად იგრძნო თავი თითოეულმა და დაიწყო ძებნა, სრბოლა, მოუთმენელი სწრაფვა ვიღაცის მიგნებისა. ამ აურზაურში მარტოსულად მარტოსულად გადაიქცა და იმ წამს, იმდეს რომ კარგავდა, საკუთარ თავში ჩაიხე-

და, ჩაიხედა და ის აღმოაჩინა. სიყვარული, გაელიძა, ჰო, მხოლოდ და მხოლოდ გაელიძა და დაუმეგობრდა საკუთარ თავს ანუ მარტოსულს. ბატონებო და ქალბატონებო, გაიღიმეთ! – ასეთია რეჟისორ გურამ ვაშაკიძის მოსაზრება სპექტაკლთან დაკავშირებით.

მარჯანიშვილის თეატრი „სილამაზის დედოფალს“ მცირე სცენაზე 2 მაისსაც გაითამაშებს.

საპრემიერო სპექტაკლზე მუშაობის პარალელურად, მარჯანიშვილის თეატრი ახალ პროექტებზე ახორციელებს. „ერთი საათი თეატრში“ – ასე ჰქვია ღონისძიებას, რომელიც მოიცავს თეატრალურ მოგზაურობას სკოლის მოსწავლეთათვის.

– როგორია თეატრი სპექტაკლის მიღმა? რას ინახავს თეატრის 85 წლის ისტორია? რა შეიძლება გავიგოთ თეატრის შესახებ და როგორ შევძლების მოგზაურობა ჩვენს წარმოდგენას თეატრზე, სამყაროზე, ადამიანებზე? მაშ ასე, ერთად ვიმოგზაუროთ თეატრალური დეკორაციების, პარიკების, კოსტიუმების საუფლოში და ვეზიაროთ თეატრის ჯადოსნურ სამყაროს. ის მართლაც ჯადოსნურია: თეატრის ისტორიული ამბები, დიდი მხატვრების ნამუშევრები, არქივი... თეატრის საგრიმბორობები, სცენის უკან მხარე თვით ტექნიკური საკითხების ჩათვლით – აბა, როგორ გაგრძელდება მე-11 გვერდზე



გარდა იმისა, რომ გაუშვეს სამსახურიდან. ბევრი ამბობს, რომ ამიკო და ფაქო ფულის გამო წავიდნენ ამ ჯგუფიდან. სინამდვილეში მათ გაუსაძლისი პირობები შეუქმნეს. ეს იყო მთავარი მიზეზი. თემო მუავას 700 ლარამდე შეუმცირეს ხელფასი, რასაც 14-ჯერ აღემატებოდა ვანო ჯავახიშვილის ხელფასის ოდენობა. იმავანაირად მოექცნენ ნიკა გრიგოლიას. სამსახურიდან ხომ დაითხოვეს, ფიზიკურადაც გაუსწორდნენ და თან აცხადებენ, რომ ჩვენ იუმორი არ გვესმის. ეტყობა, უნდა გაეცინა ამაზე ნიკას, – განმარტა იუმორისტმა.

გიორგი აფციაური „კომედი შოუს“ სექტას უწოდებს და იქ მომუშავე კოლეგებს ამ სექტისგან გათავისუფლებისკენ მოუწოდებს:

– მე მინდა გითხრათ, რომ ეს არის სექტა, რომელიც ადამიანების ტვინში ღიმილითა და სიცილით აღწევს და ანაგვიანებს. მაგრამ ამ სამსახურში არიან ადამიანები, რომლებიც, რა თქმა უნდა, დიდ პატივისცემას იმსახურებენ ჩემი მხრიდან, არ არიან ამ სექტის ნაწილი და მათ მოვუწოდებ, დროზე გაემიჯნონ ამ აურზაურს. მინდა, ვანო ჯავახიშვილს ვუთხრა, რომ ნებისმიერ დროს მზად ვარ, იმაზე, რაზეც აქ ვისაუბრე და რაც სასაუბრო გვექნება, პირდაპირ ეთერში რომელიმე გადაცემაში ვისაუბროთ, არ არის ეს ჩემთვის პრობლემა. ვპირდები მას, რომ არათანაბარი ინტელექტის გამოყენებას არ შევეცდები მასთან საუბარში და, თუ სიტყვის მასალა არ ეყოფა ჩემთან სასაუბროდ, ალექო მალხაზიშვილიც თან წამოიყვანოს.

ამ თემასთან დაკავშირებით, „ახალი თობა“ ვანო ჯავახიშვილს დაუკავშირდა და ბრალდებებზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება სთხოვა.

ვანო ჯავახიშვილი, „ვანოს შოუს“ წამყვანი:

– სიმართლეს არ შესაბამეა გიორგის განცხადება, პირდაპირ გეტყვით. ეს არის სიმართლე, რასაც ახლა ვიტყვი, ცხოვრებაში არ მითქვამს ტყუილი და არც ახლა ვაპირებ ტყუილის თქმას. გიორგი აფციაურის დაბლოკვა არანაირად არ შევიდოდა ჩვენს ინტერესებში, იმიტომ რომ ჩვენ გვყავს ახალი პაროდისტი. ეს არის ქართლოს ნატროშვილი. შესაბამისად, გიორგი აფციაურთან დაბლოკვაზე არ გვექნია საუბარი. სიტყვა „დაბლოკვა“ ჩვენს სამსახურში ძალიან ხმაბალადი ნათქვამია. ასეთი ფაქტი არასდროს დაფიქსირებულა არსად, რომ ვინმეს ვინმე დაებლოკა, იმიტომ რომ ჩვენ იუმორისტები ვართ, იუმორს ვაკეთებთ და გვინდა, ყოველთვის კარგი იუმორი გავაკეთოთ. იმასაც გეტყვით, გიორგი აფციაური ჩვენი გუნდის წევრად აღარ ირიცხება 2011 წლის დეკემბრის მერე ანუ მან ცალკე გაიტანა ჩვენივე გაკეთებული პროექტი „თქვენი შოუ“, აცხადებდა, რომ ეს იყო მისი პროექტი, რეალურად წაგვართვა, გაიტანა გართო და ახლა ამბობს ადამიანი, რომ არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, როდესაც ჩვენი გუნდის წევრიც აღარ იყო და შეხებაც არ გვექნია, თითქოსდა მე ვებლოკავდი. ეს არის სრული აბსურდი. ჯერ ერთი, არანაირი უფლება არ მქონდა ვინმეს დაბლოკვის და ჩემს ტერმინოლოგიაში სიტყვა „დაბლოკვა“ ძალიან ხმაბალადი და ზედმეტად ნათქვამია.

ქოსვოხი ბ

შეუღლად: 1. ავადმყოფის გასინჯვა სხეულზე თითების ან სენციკალური ჩაქურჩის კაკუნით; 2. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 3. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 4. ოპერა „აბესალომი და ეთერის“ პერსონაჟი; 5. სიტხის რაოდენობის საზომი ერთეული; 10. სათავგადასავლო კინოს ერთ-ერთი ჟანრი; 11. ესპანელი მწერალი; 12. ველური ვაზი; 15. მოძღვრება ხეხილის ჯიშების შესახებ; 16. ესპანური ავიაციომპანია; 17. სხეულის წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 20. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია.

თარაზულად: 6. განდიდების მანია; 7. დარბაზის ფეხბურთი; 8. უბანი ჩილეში; 9. ყაზახეთის დედაქალაქი; 13. უბანი თბილისში; 14. მეფის მრჩეველი ძველად; 18. მყვინთავთა ჰერმეტიკული კოსტუმი; 19. დიპლომატიური წარმომადგენელი; 21. ხის ჩასახვითი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. ებრაული წესით მომზადებული ღვინო; 23. მონასტერი, ხუროთმოძღვრული ძეგლი კასპის რაიონში; 24. მცენიერული ნაშრომი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომეხში გამოქვეყნებული ქოსვოხების პასუხები:

პროსპორდი ა

შეუღლად: 1. შინჯუკუ; 2. ტალავარი; 3. ონაგრი; 4. სიამი; 5. შიფონერი; 8. კერამიკა; 12. ტიბო; 13. ევოლუცია; 14. ჟირაფი; 16. ტიციანი; 18. ბუტკო; 20. კეზი.

თარაზულად: 6. ვიქტორია; 7. მონოტიპი; 8. კოპალა; 9. ბურჟი; 10. პარალიზი; 11. გასტრიტი; 15. კვირკველია; 17. პოპური; 19. ფრიკადელი; 21. აცეტატი; 22. კატალიონა; 23. ხითხითი.

პროსპორდი ბ

შეუღლად: 1. ჩულურეთი; 2. ხორბალი; 3. ხრამი; 4. ვერმელი; 5. პორტალი; 10. მირზახანი; 11. კონტრაბასი; 12. აბსურდი; 15. უმანინიზმი; 16. პლეზი; 17. რეტუტი; 20. ოკაპი.

თარაზულად: 6. ბურგომისტრი; 7. ბენთონი; 8. ვაიკულე; 9. პეპელა; 13. ფიტი; 14. ხობობი; 18. მუსამბაზი; 19. პერი; 21. რკალი; 22. შირაქი; 23. ტანგანიკა; 24. ტრიგლიტი.

– მაშინ, რატომ გიყენებთ ამ ბრალდებებს გიორგი აფციაური?

– მას, ალბათ, რალაცაში დასჭირდა ეს ყველაფერი, რომ გაეკეთებინა ასეთი პიარი და ზედმეტად ყურადღების ცენტრში მოქცეულიყო. ალბათ, იმის ბრალიც არის, რომ ახალი პაროდისტი, რომელთანაც აქტიურად ვთანამშრომლობთ, არ მოსწონს და არ სიამოვნებს ის ფაქტი, რომ ჩვენ პრეზიდენტის ახალი პაროდისტი გვყავს.

– ამიკო და ფაქოც რეალურად თქვენ გააქციეთ „რუსთავი 2“-დან?

– ამიკოსა და ფაქოს შემთხვევა აბსოლუტურად სხვაა. მათ შესთავაზეს უკეთესი პირობები. იცით, ალბათ, რომ კომპანია „ჯიდიესში“ გადავიდნენ. ისინი არიან დამოუკიდებელი ადამიანები და, ალბათ, აწყობდათ უკეთეს პირობებში გადასვლა. ჩვენ კონფლიქტიც კი არ გვქონია. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. პირადად მე მათთან კონფლიქტი არ მქონია, ჩვენ ვიცოდით, რომ მათ ჰქონდათ ბატონ ბერასთან მოლაპარაკებები და საბოლოო ჯამში გუნდის სამი წევრი – ფაქო, ამიკო და მუჟია გადავიდნენ „ჯიდიესზე“. რატომ არ გადავიდა გუნდის სხვა წევრი? რეალურად ადამიანებს ჰქონდათ არჩევანი, რომ გაეგრძელებინათ მათ მუშაობა ჩვენთან ან გადასულიყვნენ სხვაგან და მათ თავიანთი არჩევანი გააკეთეს.

– ნიკა გრიგოლიასთან კონფლიქტზე რას მეტყვით?

– ნიკა გრიგოლიასთან კონფლიქტი არ მქონია არასოდეს, ფიზიკური დაპირისპირებაც არ მქონია არასოდეს, ესეც ტყუილია. ნიკა გრიგოლია არის ჩემი მეგობარი, ნიკას ჰქონდა პატარა შელაპარაკება სამსახურში თავის ქვისტთან, მიმა ანდლულაძესთან, სუფთა ოჯახურ თემაზე, არც ამას მოგატყუებთ.

– და ამის გამო გაუშვეთ სამსახურიდან?

– არა, არ გავგეშვია. ნიკა გრიგოლია ამ კონფლიქტის შემდეგ კიდევ რამდენიმე თვე მუშაობდა ჩვენთან. ნიკას ჰქონდა სუფთა დისციპლინური პრობლემები. ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა, ყველა სამსახურში, როცა არ არის დისციპლინირებული ადამიანი, შესაბამისად, დგება მისი სამსახურში ყოფნა-არყოფნის საკითხი. ეს ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა. როცა სხვა თანამშრომელი უყურებს, რომ მისი კოლეგა არ დადის სამსახურში, მაგრამ აქვს ჩვეულებრივად ხელფასი, ის კი დიდიდან საღამომდე მუშაობს, ცოტა არასამართლიანია. ეს ფაქტორი სხვა თანამშრომელზეც გადადის. არ მოგატყუებთ და გეტყვით, რომ გუნდში იყო ძალიან დიდი უკმაყოფილება ამასთან დაკავშირებით. ჩვენ ნიკას ყველანაირად ხელი შევეწყვეთ, ერთხელ ერთი თვეც კი დავასვენეთ თავიდან ბოლომდე, რომ დაესვენა კიდევ და თავისი პრობლემებიც მოგვარებინა. ეს ერთი თვეც გამოიყენა და ეცადა პრობლემების მოგვარებას, მაგრამ მაინც არადისციპლინირებულად გააგრძელა სამსახურში სიარული. მე ჩემი პროექტი მაბარია, „ვანოს შოუ“ და ყოველ დღით 10 საათზე სამსახურში ვარ, ერთ წუთსაც კი არ ვაგვიანებ. აბსოლუტურად სიმართლეს ვლაპარაკობ.

– მაშინ, რის საფუძველზე გადანაშაულებთ გიორგი აფციაური?

– გიორგი აფციაურს არა აქვს იმის უფლება, რომ გუნდის სახელით ილაპარაკოს. ის იყო ჩვენ მიერ დაქირავებული ერთ-ერთი რიგითი თანამშრომელი. ჩვენ სრული უფლება გვქონდა, როცა კონტრაქტი დაუმთავრებდოდა, აღარ გავგვერძელებინა და გაგვეშვა, მაგრამ ჩვენ მასთან ვაგრძელებდით ურთიერთობას, მაგრამ მერე ადგა და ასეთი არავაჟაკური საქციელი ჩაიდინა, მთლიანად ჩვენი მოფიქრებული პროექტი წაიღო ცალკე. იქ იყო რაღაც კონფლიქტი, დადგა სპექტაკლი და მივეცით კიდევ თავისუფლება, რომ გადაცემა ეკეთებინა, მაგრამ „თქვენი შოუს“ რეიტინგმა დაიკლო, როცა ჩვენი სცენარისტთა გუნდი წამოვიდა და, შესაბამისად, დაიხურა არხზე. ეს გადაცემა დახურა ტელეკომპანიის რედაქციამ, ჩვენ არაფერ შუაში ვართ.

– დაბოლოს, ვანო, მან პირდაპირ ეთერში გამოგინვიათ, ვესაუბრებო ყველა თემაზე. თქვენ მზად ხართ ამისთვის?

– არა, გიორგი აფციაურს პირდაპირ ეთერში რაღაც თემაზე სალაპარაკოდ არ დაუფუძლები, იმიტომ რომ ეს ჩემთვის მიუღებელია. ჩემთვის პერსონა არ არის გიორგი აფციაური, რომ დებატებში დაუფუძდე.

– იმიტომ ხომ არ ამბობთ უარს, რომ მტყუნა ხართ?

– ეგ არაფერ შუაშია. გიორგი აფციაური ჩემთვის არანაირ ფასეულ პიროვნებას, არანაირ პერსონას არ წარმოადგენს, შესაბამისად, მას დებატებში არ დაუფუძლები, იმიტომ რომ მე მინდა, ადამიანებს დაუფუძდე დებატებში და არა შეურაცხად და ფსიქიკურად არანაირმალურ, გაუსწორებლად გაუფუძლებს. ჩვენ არ ვართ ის ხალხი, რომ დებატებში ვიღაცებს დაუფუძდეთ, იმიტომ რომ ჩვენ გასამართლებელი არაფერი გვაქვს.



პარაგვაის ახალი პრეზიდენტი უსახლკარო ბავშვებისა და უკუჩვენებელი პარაგვაის ხელისუფლების გადახდა უარს ახდენს

პარაგვაის არჩეული პრეზიდენტი, ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი ორასიო კარტესი, უსახლკარო ბავშვებისთვის და განუკურნებელი ავადმყოფებისთვის ხელფასის გადახდაზე უარს თქმას აპირებს.

21 აპრილის არჩევნებზე კარტესის გამარჯვებამ, ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ხელისუფლებაში კონსერვატიული პარტია „კოლორადო“ დააბრუნა, რომელიც აქამდე პარაგვაის ზედიზედ 61 წლის განმავლობაში მართავდა.

„დიდ სიხარულს მომანიჭებს ფულის გადახდა ადამიანისთვის, რომელიც ამით საკუთარ ცხოვრებას შეცვლის“, — ხაზს უსვამს კარტესი ჟურნალისტებთან საუბრისას.

პარაგვაის ახალმა პრეზიდენტმა, რომელსაც ქვეყნის 25 უმსხვილესი კომპანია ეკუთვნის, აღნიშნა, რომ ქვეყანას სათავეში ჩაუდგა არა იმისთვის, რომ ფული იშოვოს, არამედ პირიქით, რათა დახარჯოს.

მისი თქმით, მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებს დაუთმობს — ბავშვებს, ხანდაზმულ ადამიანებს, ინვალიდებს. არჩევნებზე გამარჯვებისთანავე კარტესმა პირობა დადო, რომ უპირველესი ამოცანა იქნება ბრძოლა სიღარიბესთან, რომელშიც ქვეყნის მოსახლეობის 40 პროცენტი ცხოვრობს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2011 წლის მონაცემებით, პარაგვაიში ერთ სულზე მოდიან შიდა პროდუქტი სულ 5413 დოლარს შეადგენს, რაც ბოლივიის შემდეგ სამხრეთ ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალ მაჩვენებელს წარმოადგენს.

პარაგვაის პრეზიდენტი სახელმწიფოს, მთავრობისა და ალმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია. ირჩევა მოსახლეობა 5 წლის ვადით.

პრეზიდენტის სამუშაო ადგილია ლოპესის სასახლე ასუნსიონში, ხოლო რეზიდენცია და საცხოვრებელი ადგილია მბურუვიჩა როკა.

პარაგვაის კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტი თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ ხდება მუდმივი სენატორი.

მაიშადა გერა მაშულაშვილი



ევროსასაშორისო იულია ტიმოშენკოს „გაზის საქმეზე“ დაკავება უკანონოდ სმო

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს „გაზის საქმესთან“ დაკავშირებით პატიმრობა უკანონოდ და პოლიტიკურად მოტივირებულად ცნო.

ამგვარი გადაწყვეტილება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ იულია ტიმოშენკოს საჩივრის განხილვის შემდეგ გამოიტანა.

„ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ იულია ტიმოშენკოს საქმეზე გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო. ტიმოშენკოს დაკავება და მისი პატიმრობაში ყოფნა უკანონო და პოლიტიკურად მოტივირებულია“, — ამის შესახებ ინფორმაციას ყოფილი პრემიერ-მინისტრის პარტია „ბანტიკევიჩინა“ ვრცელებს.

იულია ტიმოშენკოს სა-



ჩივარი, რომელსაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ სწავლობდა ე.წ. „გაზის საქმეს“ ეხებოდა, რომლის გამოც ყოფილ პრემიერს უკრაინის სასამართლომ შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იულია ტიმოშენკო 2011 წელს, რუსეთთან გაზის კონტრაქტის დადების დროს, უფლებამოსილების გადაგებით გამო დააპატიმრეს. აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივარი სტრასბურგში იმავე წლის აგვისტოში გაიგზავნა.

ყოფილი პრემიერი ირ-

წმუნებოდა, რომ მისი დაპატიმრება პოლიტიკურად იყო მოტივირებული. ტიმოშენკო წამების შესახებაც აცხადებდა. მისი თქმით, წინასწარი დაკავების იზოლაციაში, სადაც თითქმის ხუთი თვე გაატარა, დროულად არ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის 1950 წლის ადამიანის უფლებათა შესახებ ევროპული კონვენციით დაფუძნებული საერთაშორისო სასამართლო ორგანო. იგი განიხილავს კერძო ინდივიდების საჩივრებს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც ეხებათ კონვენციით გარანტირებული უფლებების სადავო დარღვევებს. სასამართლოში საჩივრის შეტანის უფლება აქვთ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებსაც ერთმანეთის წინააღმდეგ.

საზღვრე მზის სისხლის უღირსი ქარიშხალი გადიდეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჰაერის ნაკადის სიქცურე, წამში 150 მეტრს შეადგენს. ამას გარდა, მინიერი შტორმებისგან განსხვავებით, რომლებიც პლანეტაზე გადაადგილდებიან, სატურნის შტორმი უძრავია და ჩრდილოეთ პოლუსზე რჩება.

ამასთან, სატურნის ქარიშხალს დედამიწისეულთან მსგავსება აქვს: კერძოდ, მას ასევე აქვს „ცენტრალური თვალი“, სადაც არ არის ღრუბლები. „ჩვენ გაკვირვებული ვიყავით, როდესაც შევისწავლეთ კადრები; რადგან შტორმები გამოიყურებოდა ისე, როგორც ის დედამიწაზე იქნებოდა“, — განაცხადა კალიფორნიის ტექნიკოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა ენდრიუ ინგერსოლმა და დაამატა, რომ „მოუხედავად იმი-სა, რომ სატურნზე ყველაფერი გაცილებით დიდი ზომისაა, წყლის ორთქლის რაოდენობა იქ მცირეა“.

„ნასას“ წარმომადგენლების თქმით, სატურნზე ქარიშხალი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურია. მართალია მისი პირველი ნიშნები დაფიქსირებული იქნა 2009 წელს, ხარისხიანი სურათი გადაღებული იქნა მხოლოდ ახლა, რადგან სატურნის ამ ნაწილში დიდი ხნის განმავლობა-

ში ზამთარი იყო და ამ რეგიონში მზის სინათლე არ ყოფნიდა, რაც ქარიშხალს დაკვირვებისთვის შეუძლებელს ხდიდა.

მეცნიერები იმედოვნებენ, რომ სატურნის ქარიშხლის მაგალითზე გაკეთებული აღმოჩენები, მათ დედამიწაზე ამავე ბუნებრივი მოვლენის თავისებურების უკეთ გაგებაში დაეხმარება.

ცნობისთვის, სატურნი სიშორით მეექვსე პლანეტაა მზიდან. ეს გაზის გიგანტი სიდიდით მეორე პლანეტაა მზის სისტემაში იუპიტერის შემდეგ. ჩინურ, კორეულ, იაპონურ და ვიეტნამურ კულტურებში პლანეტას მინის ვარსკვლავად მოიხსენიებენ, ხუთი ელემენტის ციკლის მიხედვით. სატურნს ადრე სანამ ტელესკოპს გამოიგონებდნენ ყურებიან პლანეტას ეძახდნენ, რადგან შორიდან მისი რგოლები ყურებს გავდა.

სატურნის პირველი ფოტოსურათი პიონერ 11-მა 1979 წლის სექტემბერში გადაიღო 20.000 კმ-ის მანძილიდან. მაშინ აგრეთვე მისი რამდენიმე თანამგზავრი აღმოაჩინა და სურათები გადაუღო. სატურნს 62 თანამგზავრი ჰყავს, მათ შორის ყველაზე დიდია ტიტანი. სატურნის ატმოსფეროს 96,3 % წყალბადისგან შედგება, 3,25 % ჰელიუმისგან, დანარჩენი 0,45 % სხვა აირებია.

მარჯანიშვილის თეატრში პრემიერაა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

მოძრაობს დეკორაცია სცენაზე... ამასაც კი გაიგებთ. თეატრში სტუმრობის ერთი საათი მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, იცოდნენ თეატრის შესახებ უფრო მეტი, ვიდრე აქამდე, გაიცნონ თეატრი ისეთი, როგორც არის სცენის მიღმა. მოგზაურობის გეგმა ასეთია: შეკრება 15 საათზე თეატრის მუზეუმში, მოკლე ისტორიული ექსკურსი და თეატრის დათვალიერება. შესვენების გიდი თეატრმცოდნე, მუზეუმის მთავარი მცველი რუსუდან შოშიტაიშვილია, ბილეთის ფასი — 2 ლარი. ბილეთების შეძენა შესაძლებელია თეატრის სალაროში, ჯგუფის რაოდენობა 15 ბავშვით განისაზღვრება. ეს პროექტი გათვალისწინებულია 6-დან 12 წლამდე მოსწავლეებისთვის. პირველი მოგზაურობა 12 აპრილს გაიმართა, — განაცხადა თეატრის წარმომადგენელმა თამუნა ლალიაშვილმა.

რაც შეეხება მეორე პროექტს, ეს უკვე ყველა თაობის მაყურებელსა და თეატრის მოყვარულ საზოგადოებას შეეხება. მარჯანიშვილის თეატრი სეზონის ბოლომდე მაყურებელს ახალ ინიციატივას სთავაზობს. — „თეატრალური დღე“, „სკოლის მოსწავლეები-

სათვის“, „სტუდენტური დღე“ და „შესვენების დრო“. ეს არის ახალი ინიციატივები, რომელსაც მარჯანიშვილის თეატრი ახორციელებს. პროექტი „სკოლის მოსწავლეებისათვის“ ყველა საჯარო და კერძო სკოლები-სათვის მარჯანიშვილის თეატრის ბილეთის ფასი ასეთია: 10.50 ლარი — 6 ლარი, 14.00 ლარი — 8 ლარი. ეს შეთავაზება მოქმედებს თეატრის 2 სცენაზე — დიდი სცენა და სხვენი. ბილეთების შეძენა შესაძლებელია მხოლოდ სკოლებში მისმართვის საფუძველზე. პროექტში „სტუდენტური დღე“ თვის ყველა შაბათს, თბილისის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტისათვის ბილეთის ფასია 5 ლარი. სტუდენტმა თან უნდა ექონიოს სტუდენტის დამადასტურებელი მოწმობა, ბილეთი გაიცემა მხოლოდ მოწმობის საფუძველზე, ერთ მოწმობაზე გაიცემა მხოლოდ ერთი ბილეთი, ბილეთის შეძენა შესაძლებელია მხოლოდ მითითებულ დღეს შაბათს. პროექტი „შესვენების დრო“ მოიცავს სამუშაო დღეებში — ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, შესვენების დროს 13.00-დან 15.00 საათამდე ბილეთის შეძენა შესაძლებელია 50% ფასდაკლებით. რაც შეეხება პროექტს „თეატრალური დღე“, ყოველი თვის 19 რიც-

ხვში, თეატრში მოქმედებს შეთავაზება 2+1 და 3+2, რაც გულისხმობს იმას, რომ 2 ბილეთის შეძენის შემთხვევაში გადმოგეცემთ დამატებით 1 ბილეთი, 3 ბილეთის შეძენის შემთხვევაში, გადმოგეცემთ დამატებით 2 ბილეთი. აგრეთვე მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ თეატრში მოქმედებს ბილეთების ჯგუფური შეძენის „ტარიფი“ ჯგუფური შეძენა. ჯგუფური შეძენის შემთხვევაში (20 ბილეთი) თეატრში მოქმედებს შემდეგი ფასი: 10.50 ლარი — 7 ლარი და 14.00 ლარი — 9.50 ლარი. ეს შეთავაზება მოქმედებს თეატრის დიდ სცენაზე, ბილეთების შეძენა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ბილეთები შეგიძლიათ დაჯავშნოთ ტელეფონით და ინტერნეტით. ჯავშანი იხსნება წინა დღეს 15.00 საათზე. შეთავაზება არ ვრცელდება სპექტაკლზე „ჟოლო“. გარდა ამისა, მარჯანიშვილის თეატრი გათავაზობს მარტივად შეიძინოთ ბილეთები ინტერნეტით. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქცია არ ვრცელდება ბილეთების ონლაინ შეძენის შემთხვევაში და, რაც ყველაზე მთავარია, დაგვიანებული მაყურებელი სპექტაკლზე არ დაიშვება! — განაცხადა მარჯანიშვილის თეატრის წარმომადგენელმა.

სამგლოუნიარო განცხადებები

შპს „ქალაქის გულის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუნყებიან მედია ჯაფარაშვილის მე-

გოვი ალაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

შპს „კოლხა“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუნყებიან მედია ჯაფარაშვილის მეუ-

გოვი ალაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

შპს „ქალაქის გულის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუნყებიან რევაზ ჯაფარაშვილის სი-

გოვი ალაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

სამგლოუნიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მუხრან ბაგრატიონი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუნყება რევაზ ჯაფარაშვილის სიძის

გოვი ალაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

შპს „კოლხა“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუნყებიან რევაზ ჯაფარაშვილის სიძის

გოვი ალაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს პენსიონერთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუნყება საქართველოს პენსიონერთა კავშირის გაზეთ „უზუცესთა მაცნეს“ მთავარი რედაქტორის, ბატონი

ოთარ სტაჟაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.



კრიტიკა

ოთხშაბათი
1 მაისი

06.30 „მოამბე“ (აუხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დღეა“ (3/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.40 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (3/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მაღალია (3/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 ტ/სერ „პირაზი“, 17.00 დ/ე „სახელ-განთქმული თვითმფრინავები“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „სიყვარული შიშში“, 21.00 ტ/სერ „პირაზი“, 22.00 „დილოგი დავით პაიჭაძესთან“, 23.00 მხ/ფ „რომში მოკლა მხდალა რომარტ ფორდ-მა ჯამი ჯამისი, (ბატიტი) 02.00 დ/ფ „კოდის კონცხი“

08.00 „მოამბე“ (აუხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“, 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (3/ე) 19.00 ტ/სერ „საინფორმაციო ბაზარი“ 00.00 „მოამბე“ (აუხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დღეა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დღეა (გაგრძელება) 10.00 სერ „დაშინებული“ 11.20 სერ „გაზის ძვრები“, 13.00 ტ/სერ „მე, მამოზარბაზი“, 3 სერ. 14.40 ღამის შოუ (გ/ფ) 16.00 სერ. „დავალდი სიბერეთში“, 17.00 სერ. „თილისა“, 18.50 სერ „პარაპარული სიყვარული“, 21.00 სერ. „მარტოსული“, 22.00 ფულთან თამაში 23.00 მხ/ფ „დიდი სტანდი“ (დ/ქრედინი) 01.20 მხ/ფ „პროპინგინი ბარმენი“ (ფ.მორისი) (ტიტი) 02.45 მუსიკა

07.30 დილაშემოდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული შიშში“ 11.00 სერ. „დიდ-მალი ძალი“, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 შუაღელე, 15.30 დილაშემოდობისა 17.00 სერ. „წესების უზნაშუალო“, 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“, 20.05 სერ „ერთმანეთის ძალი“, 22.00 ნანუკას შოუ. 22.40 ჩემპიონთა ლიგა 00.50 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დიუჟები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შეიდეგის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენი ფეხები კლასიკა 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.45 დოკ/ფ „ექიმი-მე“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთავის“ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერსიები 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სახალისო 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები ნუთისოვლისა 12.05 ანიმე 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.40 დოკ/ფ „გაზა“, III ნაწ. 14.35 ჩვენი ბიბლიოთეკა 14.50 მართლმადიდებლური კატეხეზიზმი 15.05 განთავის სტუმარი 15.20 დოკ/ფ „ენების კვირა წმინდა მინაზე“, III ნაწ. 15.55 დოკ/ფ „წმინდა ოთხი“, მარკოზის სახარება 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი ალექსის განმარტება 19.20 საღვთისმშობლის დღის აღიარება 19.45 დოკ/ფ „დავით გარეჯი“, I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხეზიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სანინა-სწარმეტყველო საკითხავი განმარტება (გ. გეგასალია) 23.35 დიდი მარცხა 00.35 განთავის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „ჩვენი ურთიკა“

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შეიდეგის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენი ფეხები კლასიკა 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.45 დოკ/ფ „ექიმი-მე“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთავის“ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერსიები 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სახალისო 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები ნუთისოვლისა 12.05 ანიმე 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.40 დოკ/ფ „გაზა“, III ნაწ. 14.35 ჩვენი ბიბლიოთეკა 14.50 მართლმადიდებლური კატეხეზიზმი 15.05 განთავის სტუმარი 15.20 დოკ/ფ „ენების კვირა წმინდა მინაზე“, III ნაწ. 15.55 დოკ/ფ „წმინდა ოთხი“, მარკოზის სახარება 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი ალექსის განმარტება 19.20 საღვთისმშობლის დღის აღიარება 19.45 დოკ/ფ „დავით გარეჯი“, I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხეზიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სანინა-სწარმეტყველო საკითხავი განმარტება (გ. გეგასალია) 23.35 დიდი მარცხა 00.35 განთავის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „ჩვენი ურთიკა“

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შეიდეგის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენი ფეხები კლასიკა 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.45 დოკ/ფ „ექიმი-მე“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთავის“ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერსიები 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სახალისო 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები ნუთისოვლისა 12.05 ანიმე 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.40 დოკ/ფ „გაზა“, III ნაწ. 14.35 ჩვენი ბიბლიოთეკა 14.50 მართლმადიდებლური კატეხეზიზმი 15.05 განთავის სტუმარი 15.20 დოკ/ფ „ენების კვირა წმინდა მინაზე“, III ნაწ. 15.55 დოკ/ფ „წმინდა ოთხი“, მარკოზის სახარება 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი ალექსის განმარტება 19.20 საღვთისმშობლის დღის აღიარება 19.45 დოკ/ფ „დავით გარეჯი“, I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხეზიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სანინა-სწარმეტყველო საკითხავი განმარტება (გ. გეგასალია) 23.35 დიდი მარცხა 00.35 განთავის სტუმარი 01.00 დოკ/ფ „ჩვენი ურთიკა“

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შეიდეგის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენი ფეხები კლასიკა 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.45 დოკ/ფ „ექიმი-მე“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთავის“ 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერსიები 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სახალისო 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქრისტიანული ხელოვნება 11.30 მგზავრები ნუთისოვლისა 12.05 ანიმე 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.40 დოკ/ფ „გაზა“, III ნაწ. 14.35 ჩვენი ბიბლიოთეკა 14.50 მართლმადიდებლური კატეხეზიზმი 15.05 განთავის სტუმარი 15.20 დოკ/ფ „ენების კვირა წმინდა მინაზე“, III ნაწ. 15.55 დოკ/ფ „წმინდა ოთხი“, მარკოზის სახარება 16.55 კვირიაკე 18.05 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი ალექსის განმარტება 19.20 საღვთისმშობლის დღის აღიარება 19.45 დოკ/ფ „დავით გარეჯი“, I ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხეზიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სანინა-

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
<http://www.opentext.ge/akhali-toba>

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გახვედრის კურსი

	აშშ დოლარი — 1,6508		ევრო — 2,1602
	ინგლისური სტერლინგი — 2,5635		100 რუსული რუბლი — 5,2816

სოხუმი 26-28

ზუგდიდი 30-32

ქუთაისი 32-34

გორი 25-27

თბილისი 26-28

ბათუმი 23-25

გურჯაანი 25-27

ამინდის ჰოგნოზი 1 მაისისთვის

25 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩიხური ზღაპრები

უკვე გამოსულია:

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

გამოსაცემად მზადდება:

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები

სოფო გელოვანი და ნოდუკო ტატიშვილი 5 მაისს გაფორმდებიან

საქართველოს წარმომადგენლები წლეფანდელ ევროვიზიაზე, სოფო გელოვანი და ნოდუკო ტატიშვილი, შედეგით 5 მაისს, ალდგომის დღესასწაულზე გამთენიისას გაფორმდებიან. მათთან ერთად კონკურსის მასპინძელ ქვეყანაში გაემგზავრებიან საქართველოს დელეგაციის წევრები. ევროკვირეული 6 მაისს ევროკლუბის გახსნით დაიწყება.

ევროვიზიის ქართველი კონკურსანტები სოფო გელოვანი და ნოდუკო ტატიშვილი, სიმღერით „ვითრეფალ“ მსაჯურების წინაშე ევროკლუბის ვალის მფორე ნახევარფინალურ საღამოზე 16 მაისს წარდგებიან, კონკურსამდე ისინი ევროკვირეულში ჩაერთვებიან და რეპეტიციებსაც გაივლიან.

2013 წლის ევროვიზიის ორგანიზატორები კონკურსანტებს, დელეგაციებს, სტუმრებს, გულშემატკივარს ევროკვირეულის განმავლობაში უმასპინძლებენ. ევროკლუბი მალმეს ერთ-ერთ კეთილმოწყობილ უბანში განთავსდება და ევროკაფეც გაიხსნება.

ევროპის მასწავლებელთა კავშირმა და 2013 წლის ევროკლუბის მასპინძელმა მასწავლებელმა 58-ე კონკურსის ევროკვირეულის განრიგი უკვე გაახმოვანეს. 6 მაისს ევროკვირეული ევროკლუბის გახსნით დაიწყება. 9 მაისამდე რეპეტიციები ნახევარფინალისთვის დაიწყება.

10 მაისს პრესცენტრი მალმეს არენის მახლობლად გაიხსნება. ევროპის მასწავლებელთა კავშირი და მასპინძელი მასწავლებელი პრესკონფერენციას გამართავენ. 10-დან 12 მაისამდე რეპეტიციების მეორე ტური გაიმართება და მედიის წარმომადგენლებს დასწრების შესაძლებლობა ექნებათ. რეპეტიციების შემდეგ კონკურსანტები 20-წუთიან პრესკონფერენციას გამართავენ, შედეგად ინტერვიუები და ფოტოსესიები.

12 და 15 მაისს რეპეტიციებს გაივლიან „ევროვიზიის დიდი ხუთეულის ქვეყნები“ — საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და შედეგით (მასპინძელი). 13-დან 18 მაისამდე გაიმართება კოსტიუმირებული რეპეტიციები, ნახევარფინალები და ფინალი. ევროკლუბში გამართულ ღონისძიებებს შედეგით ერთ-ერთი „სახე“ მოდელი მარია სერნეპოლტი უმასპინძლებს.

საქართველო ფესტივალზე უკვე მეექვსედ მონაწილეობს. პირველად გაფორმდება მე-8 გვერდზე

ფიზიკის უმეცნელო, მარკ სუპერგამა, გასულ წელს 2 მლრდ დოლარამდე გამოიშვა

ფიზიკის უმეცნელო და გენერალურმა დირექტორმა 2012 წელს 2 მლრდ დოლარი გამოიშვა. აღნიშნულზე მეტყველებს აშშ-ს ბირჟის მიერ გადახდილი თანხები. ირკვევა, რომ ცუკერ-ბერფის პირობებში და ბონუსებმა წლის განმავლობაში 1,99 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც 16%-ით მეტია 2011 წლის პერიოდთან დაკავშირებით.

ალანინიშნავია, რომ 2013 წლის 1-ელი იანვრიდან, ფიზიკის ხელფასი საკუთარი სურვილით 1 დოლარამდე შემცირა, რითაც ცუკერ-ბერგმა ხაზი გაუსვა, რომ ის ბერეს იშრომებს საკუთარი კომპანიის წარმატებისთვის და შესაბამისად საკუთარი ხელფასისთვისაც.

ცუკერბერგმა თავისი პროდუქტი მსოფლიო ქსელში გაუშვა 2004 წლის 4 თებერვალს, პარვარდის ერთი პატარა ოთახიდან. მარკს ამ საიტის შექმნის იდეა დაებადა მას შემდეგ, რაც იხილა „ფილიპს ექსეტერ აკადემიში“ ყოფნის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

ასტროლოგური 1 მაისისთვის

პირი — მშვენიერი დღეა, ბედი გწყალობთ. **ქარი** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **გაუგანი** — სახლში დიდი სიხარული გელით. **პირი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **ლომი** — დანაწარება გიხარიათ, ფულიც გაქვთ. **პალატი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — თავს დამნაშავედ გრძნობთ, პატიება ითხოვთ. **ღირსი** — ფული გაქვთ, ყველაფერი კარგად არის. **მშვიდ-ღოსანი** — არ აჩქარდეთ, გადანყვებილება მშვიდად მიიღეთ. **თხის რა** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მარჯალი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნული. **თაუზი** — მშვენიერი დღეა, ბედს ეწევით.

გისუხებთ ბედნიერ დღეს!

შვეულად: 1. ბაზრის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ჯიხვოხი; 3. ცნობილი მექსიკელი ფერმწერი; 4. იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 5. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი; 6. კლინიკაში, ავადმყოფის მეთვალყურე სტუდენტი-მედიკოსი; 7. დანიელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 8. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 9. მოკლე, გონებაშეხილური გამონათქვამი; 10. ვირტუოზი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 11. მე-18 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 12. სვლა ჭადრაკში.

თარაზულად: 1. იაპონიაში განთავსებული ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური; 2. ლონდონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია ცნობილი ობსერვატორია; 3. ესკიმოსთა ნავი; 4. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 5. ცნობილი შვედი კინორეჟისორი; 6. უმაღლესი მწვერვალი ალპებში; 7. იტალიელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 8. პატარა მწერი, მუში; 9. აეროპორტი ერევანში; 10. ქიმიური ელემენტი, მეტალი; 11. ბრიტანელი პოლიციელი; 12. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული მოცულობითი სურათი.

შეადგინა თ.კობაძე-შვილმა

საბურნა მზის სისტემის უდიდესი ქარიშხალი გადიდეს

„ნასამ“ მზის სისტემის პლანეტებზე დაკვირვების ისტორიაში ყველაზე მძლავრი ქარიშხალი სატურნზე აღებდა. ფერად სურათებზე ბუნებრივი მოვლენა გამოიყურება, როგორც „ნათელი ვარდი ბალახზე“, იტყობინება „დეილი მილი“. სინამდვილეში ის წარმოადგენს ღრუბლებს, რომელიც სატურნის ზედაპირიდან დაბალ სიმაღლეზე მოძრაობს, ხოლო უფრო ზემოთ მწვანე ფერის ღრუბლებია, ნათქვამია „ნასამ“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

ამერიკულმა პლანეტათაშორისმა სადგურმა სურათები სოციალური ფილტრების საშუალებით მიმდინარე წლის თებერვალში გადაიღო და მხოლოდ ახლა გამოაქვეყნა.

ქარიშხალი სატურნის ჩრდილოეთ პოლუსზე მკვინარებდა. კადრების შესწავლის შემდეგ, მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ შტორმის ზომები შეადგენს 2011 კმ-ს დიამეტრში, რაც „დედამიწის ზომებში გადმოვანისას“ ავსტრალიის ნახევარს წარმოადგენს. სატურნზე ქარიშხალის მასშტაბები დედამიწაზე ნებისმიერი ანალოგს 20-ჯერ აღემატება.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ჩიხრაქის დისკვალიფიკაციას, შესაძლოა, სასამართლოს მოჰყვას

აზერბაიჯანის საფეხბურთო ჩემპიონატის 28-ე ტურში, „ბაკისა“ და „სიმიურგის“ შეხვედრის დასრულების შემდეგ, სტუმართა ქართველი მთავარი მწვრთნელი, გიორგი ჩიხრაძე, არცთუ სასიამოვნო ისტორიაში გაეხვია. მატჩის დასრულების შემდეგ იგი ტრიბუნაზე ავიდა და ერთ-ერთ გულშემატკივარს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

გუშინ აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციამ ამ საკითხზე იისჯელა და ქართველ სპეციალისტს 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა, რითიც ქართველისთვის სამწვრთნელო სკამზე სეზონი დასრულებულია. გარდა ამისა, მას 6.000 აზერბაიჯანული მანათის გადახდაც დაეკისრა.

თუმცა ეს არ არის ყველაფერი, რითიც შესაძლოა ჩიხრაძე დასაჯოს. ფედერაციის იურისტ რამიზ მალაივის განცხადებით, თუ თავად დაზარალებული გულშემატკივარი იჩივლებს, ქართველის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 2 პუნქტით აღიძვრება — ხულიგნობა და ფიზიკური ზიანის მიყენება. ის, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს დაზარალებული, ჯერჯერობით უცნობია.

მ. უ.